645
1962/2

# საქართველოს ქალი

ივნისი
1962 წ. № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა



ი. კრამსკოი

„უცნობი ქალის პორტრეტი“

# მხატვარი—მოქალაქე

## (ი. ნ. კრამსკოის დაბადების 125 წლისთავის გამო)

შესანიშნავი მხატვარი და პედაგოგი, ხელოვნების თეორეტიკოსი და გამოჩენილი კრიტიკოსი ი. ნ. კრამსკოი რუსული ეროვნული ხელოვნების ისტორიაში შევიდა როგორც «პერედვიჟნიკობის» ერთერთი მეთაურთაგანი. მისთვის ხელოვნების მთავარ დანიშნულებას ხალხის ფართო მასებისათვის მისაწვდომი, თანამედროვეობისათვის აქტუალური ხელოვნება წარმოადგენდა. ამიტომაც იგი პირველი ამბობს უარს აკადემიაში საკონკურსო სურათის შექმნაზე, სტოვებს აკადემიას და აყალიბებს «სამხატვრო არტელს», ხოლო 1870 წელს გამოდის როგორც «პერედვიჟნიკობის» ორგანიზატორი.

ი. ნ. კრამსკოიმ შექმნა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ტილოები, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფსიქოლოგიური პორტრეტები იმდროინდელი რუსეთის კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებისა: ლიტოვჩენკოს, შიშკინის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ტოლსტოისა და სხვათა პორტრეტები.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მხატვარმა დასწერა ერთერთი თავისი შესანიშნავი ნაწარმოები «უცნობი ქალის პორტრეტი»—არაჩვეულებრივად ნაზად და მაღალი ოსტატობით შესრულებული პორტრეტი ახალგაზრდა ქალიშვილისა, რომელიც პეტერბურგის ზამთრის ნისლში გახვეული პეიზაჟის ფონზე, სათნო, ოდნავ გამომწვევი ღიმილით იცქირება.



„ხატვის გაკვეთილი"—რუმინელი მხატვრის მარსელ ხირნოაგას ნახატი

# საქართველოს ქალი

ივნისი 1962 წ. № 6

ვ. ი. ლენინის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა * თბილისი *
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

# სიცოცხლის სათავე

დედა სიცოცხლის საწყისია.

ყველა ადამიანი, რა ფერისაც, რა ენაზე მოლაპარაკეც, რა რწმენისა და სარწმუნოებისაც უნდა იყოს იგი, ცხრა თვე დედის მუცლით ნატარები, ვაით ნაშობი და უით ნაზარდია. ამიტომ არავის ისე არ სურს თავისი პირმშოს კარგობა, როგორც დედას.

კაცობრიობა დედით ნაშობი და გამოზრდილია. ამიტომ მზე ისე არ ათბობს მას, როგორც დედის ზრუნვა და სიყვარული; არავის ისე არა სურს მისი ბედნიერება და კეთილდღეობა, როგორც დედას.

კაცობრიობა უკვდავია იმიტომ, რომ დედამ არ შობა იგი სიკვდილისათვის.

დედა არ შობს თავის პირმშოს ხანჯლისა და თოფისათვის.

არცერთ დედას არ უთქვამს პირმშოსათვის — პირველმა აიღოს იარაღი. მაგრამ თუ დედა ომში მიაცილებს შვილს, უბარებს — მალე დაბრუნდეს შინ მშვიდობით და გამარჯვებით, ამაოდ სურს თავი დააჯეროს, რომ სიცოცხლისათვის გაჩენილი თავისი პირმშო სასიკვდილოდ არ მიდის, რომ დაბრუნება ისევ მისი ნებაა, როგორც წასვლა. ასე დაუბარა უთუოდ დედამ შოთა გამცემლიძეს, სიცოცხლე რომ ბრძოლის ველზე დატოვა და უკვდავების სახელით რომ დაუბრუნდა დედას.

დედის გული მუდამ მშვიდობისათვის ძგერს და არასოდეს — მტრობისა და ომისათვის, თოფისა და მახვილისათვის. მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას, თავდაცვისას შვილთან ერთად თვითონაც მიმართავს იარაღს. ბუნებამ ბეღურასაც მისცა, მართალია სუსტი, მაგრამ მაინც — კლანჭები და ნისკარტი — რომ არწივსაც შეეომოს, როცა იგი ბარტყსართმევს.

მანამდის კი დედის მანდილი მუდამ მზად არის ორთა შორის გაიშალოს მშვიდობის ჩამოსაგდებად. ამასვე იქმდა ვეფხვთან ომში დაცემული მოყმის დედა, რომ მიესწრო იმ საბედისწერო წუთებში, მაგრამ ისღა დარჩენოდა, წასულიყო ვეფხვის დედასთან — „სამძიმარ ეთქვა შვილი-სა".

შვილის სიკვდილით გულის ძარღვი უწყდება დედას და, რადგან არავინ არ კარგავს იმდენს, რამდენსაც დედა, ყველა დედა ერთია მწუხარებაში.

ამიტომ ძნელი არ არის იმის შეგნება, რომ ომის გამჩაღებელთა ყველა თოფი, უწინარეს ყოვლისა, კაცობრიობის პირველგამომკვები დედის ძუძუებისაკენ არის მიშვერილი და ყველა მათი ხმალი დედის მანდილიან თავზეა აღერებული. დედა მთრთოლვარე ხელის გულს აფარებს შემართული თოფის ლულას, მლოცველის ხელებს აღაპყრობს ხმლის დასახვედრად და ამბობს: — არა! — რათა სიცოცხლე განაგრძოს კაცობრიობამ, იცოცხლოს შვილმა.

დაიხაროს ლულები, ჩაიგოს ხმლები, რომ აღარასოდეს აღარ აღიმართოს საჩეხად, არა მარტო დაიხაროს და ჩაიგოს, არამედ გადადნეს, გადადუღდეს სახნისად, უროდ, ნამგლად! — ამას ესწრაფვის ჩვენი ქვეყანა, ამას გვიბარებს დედის გული.

ნება კაცობრიობისა ამას მიაღწევს.

საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის შეუპოვარი ზრუნვა ამის საწინდარია.

მანამდის კი მშვიდობასა და ომს შორის დედის მანდილად, დაე, იდოს ჩვენი შრომა!

ელი იოანიდუ-ბელოიანისი

## ჩემო ვაჟიშვილო

ათი წლის შემდეგ, ოცი წლის შემდეგ
ოცნებით გიმზერ... გითვალთვალებ
ხანდახან, შვილო,
გხედავ და განცდა დამიუფლებს
მართლაც მთებური,
და მაშინ, როცა მე არ ძალმიძს
ახლოს გიხილო,
შენს ნაკვალევზე მე მოვქრივარ
თვალანთებული.
დედა და შვილი! ამ მძიმე დრომ
ყველა დაგვძაბა,
ამ ძნელ წუთებში შენ მოგიხმობ,
ყრმაო ფრთაშლილო...
შავთვალა ბიჭო, შენ მიდიხარ,
მირბიხარ სწრაფად,
შორი-შორს რად ფრენ?.. დედა
გეძებს,
შეჩერდი, შვილო!
შენ წინ იჩქარი საკუთარი
დღეებისაკენ,
წინ გელოდება მომავალი
ლხენით და მღერით,
შეუკავებლად წინ ისწრაფი,
ცეცხლით ხარ სავსე,
წინ მიიჩქარი და მომავალ
დღეებს შესცქერი.
საკუთარ დღეებს, საოცარი
სისწრაფით ხვდები,
დღეც მოისწრაფის, თითქოს მთათა
ლალი ორბია,
დღენი კოსმოსურ რაკეტებით,
თანამგზავრები
და საპლანეტო ხომალდები
შენსკენ მორბიან.
ო, შვილო ჩემო, აღარ ძალმიძს
ლოდინი მეტი,
შავთვალა ბიჭო, შენთვის ვცოცხლობ,
შენს სახელს ვფიცავ,
ვარსკვლავთა შორის შენ იხილავ
კაშკაშა წერტილს,
შორეულ წერტილს, დიდ პლანეტას —
ჩვენს ტანჯულ მიწას.
შენ ხარ ახალი აზრი, გრძნობა,
მარტო შენ გფიცავ,
შენ ხომ უახლეს გაგებათა
სიმრავლე გახლავს,
და შეიძლება შეუცნობი
იყო მათთვისაც,
რომელთა შვილიც, მომავალიც
შენა ხარ ახლა.
მე შენ გეძახი, შენ მოგიხმობ,
ბიჭო შავთვალა,
ხარ ნორჩი გული და გვირგვინი
ფაქიზად წნული,
უსასრულობა სამყაროსი,
ტრფიალის ძალა,
სიკეთე, სითბო მხოლოდ შენში
არის შერწყმული.
ოცნებით გიმზერ, გითვალთვალებ
ხანდახან, შვილო,
როს გხედავ, განცდა დამიუფლებს
მართლაც მთებური...
და მაშინ, როცა მე არ ძალმიძს
ახლოს გიხილო,
შენს ნაკვალევზე მე მოვჰქრივარ
გულანთებული.

თარგმანი გიორგი სამხარაძისა.



# დაიზრდებიან, დაფრინდებიან

მთელ დღეს ბავშვებთან ატარებს. ძილშიც მათზე ფიქრს ჩაიყოლებს. გათენდება თუ არა, საბავშვო ბაღის კარს პირველად თვითონ შეაღებს და მოუთმენლად ელის პატარების მოსვლას.

40 წელია თბილისის 47-ე (ყოფილი 1) საბავშვო ბაღის გამგედ მუშაობს თამარ ნიკოლოზის ასული ერისთავი და 40 წელია ასე გრძელდება.

დიდი ხანია, რაც თამარმა დასვენების უფლება მოიპოვა, მაგრამ ერთ დღესაც ვერ დასთმობს პატარებს. საბავშვო ბაღი თავისი ოჯახი ჰგონია, აღსაზრდელები — საკუთარი შვილები.

— ნეტავ, შვილები ამათზე მეტად თუ მეყვარებოდა! — ბევრჯერ უფიქრია თამარს.

ბავშვებსაც უყვართ დეიდა თამარი. დაინახავენ თუ არა მათკენ მიმავალს გარს შემოეხვევიან და... იწყება შეკითხვები:

— დეიდა თამარ, წვიმა როგორ გაჩნდა?

— თოვლი?

— ზღვა?

და თამარიც პასუხობს რაც შეიძლება მარტივად, გასაგებად.

X X X

...ჯერ ისევ გიმნაზიის მოსწავლე იყო თამარი, ერთ ზაფხულს მამამ ბათუმში რომ წაიყვანა. დასავლეთ საქართველოს წარმტაცმა ბუნებამ მოხიბლა გოგონა. პალმებით, მაგნოლიებითა და ოლიანდრებით მოქარგულმა ზღვისპირა ქალაქმა ფიქრით თავის სოფელში, ახალგორში გადაიყვანა. ახლომახლო მიდგმული ქოხების, ულაზათო პატარა ეზოების წარმოდგენამ გული ატკინა.

— გავაშენებ ჩემს სოფელში ხეხილს უამრავს, ვარდყვავილებით დავამშვენებ ეზოებს, — გადაწყვიტა თამარმა და თავის მომავალ პროფესიად აგრონომობა აირჩია. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თამარმა აგრონომიულ ფაკულტეტზე შესასვლელად ლენინგრადში გამგზავრება განიზრახა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ექიმებმა ლენინგრადის ჰავა არ ურჩიეს და ბიძას გაჰყვა შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში. 1914 წელს პედაგოგიური განათლებით დაბრუნდა სამშობლოში თამარი და მას შემდეგ ბავშვებთანაა.

X X X

...ეზოს ერთი კუთხე უფროსი „ა“ ჯგუფის აღსაზრდელებს წკნელის დაბალი ღობით შემოუკავებიათ და „ზოოპარკი“ მოუწყვიათ.

— აუზში წყალი ცოტაა, დათო, მოგვიტანე რა, წყალი!

— ნანა, ეს ჩიტი ამ ხის ტოტზე შემოჯსვათ!

— თამრიკო, მომაწოდე ეგ ლომი!

—ზაზა, ზაზა, ამ გალიაში, ერთი ვეფხვი კიდევ დაეტევა!

და რკინის გალიები, რომელთა დასამზადებლად ბავშვებს თოჯინების საწოლები გამოუყენებიათ, ივსება პლასტილინისაგან გაკეთებული დათვებით, მელიებით, ლომებით.

თვალყურს ადევნებს პატარების მუშაობას თამარი. ზოგს უწონებს შემოქმედებას, ზოგს კი უწუნებს, მაგრამ ისე, რომ გულს არავის ატკენს და არც ხალისს უკარგავს.

—ზაზა, ეს დათვი ლამაზად გამოგიძერწავს, თვალებიც კარგი აქვს, თათებიც, მხოლოდ ფერი არ მომწონს. ბავშვებო, გაგიგონიათ მწვანე ფერის დათვი? — მიმართავს ბავშვებს თამარი.

— არა!

— აბა რა და რა ფერის დათვი არსებობს?

— თეთრი, შავი, თაფლისფერი.

— მწვანე ფერის პლასტილინით რისი გამოძერწვა შეიძლება?

— მცენარეების!

— ბაყაყის!

— ხვლიკის!

და პასუხით კმაყოფილი თამარი იღიმება.

X X X

თავს ევლებიან ყვავილებს პატარა მებაღეები. ზოგი მიწას უფხვიერებს საგანგებოდ გამოთლილი ჩხირით, ზოგი ბალახისაგან უსუფთავებს ძირებს, ზოგი რწყავს.

— დეიდა თამარ, რა მოუვათ ყვავილებს, ფესვები რომ ეტკინოთ? — კითხულობს ბუთხუზა თამაზი.

— გახმებიან და მოკვდებიან, — ასწრებს პასუხს პატარა თამრიკო.

— დეიდა თამარ, ყვავილები ავად ხდებიან?

—ყვავილებმა ავად გახდომა იციან, მაგრამ მათი მორჩენაც შეიძლება. — პასუხობს თამარი. — თქვენ თუ ყოველთვის ასე მოუვლით თქვენს ყვავილებს, ისინი ავად არ გახდებიან.

— მოვუვლით, მოვუვლით, — ჟღურტულებენ პატარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოგონებებს მისდევს თამარი.

მეცნიერები, ექიმები, მხატვრები, მსახიობები, და კიდევ ვის არ ნახავთ მის გაზრდილთა შორის. ისინი დღესაც არ ივიწყებენ აღმზრდელს, ზოგი ოჯახში პატიჟობს, ზოგი მოსაწვევს უგზავნის სპექტაკლზე დასასწრებად, მაგრამ... სად სცალია თამარს!

მთელ დღეს ბავშვებთან ატარებს და ძილშიც მათზე ფიქრს ჩაიყოლებს ხოლმე.

ნაზი თარგამაძე



X X X

— ყურადღება! ყურადღება! მოქალაქე მგზავრებო, გემი „საქართველო" ორი წუთის შემდეგ გავა ნავსადგურიდან—მუყაოს დიდი საყვირით გასძახის სკამზე შემდგარი ბიჭუნა და გემის გარშემო ჩაცუცქული პატარები ზღვის ტალღების მსგავსად იწყებენ ხელების მოძრაობას.

აი, პატარა კაპიტანმა ანძაზე წითელი დროშა ააფრიალა. „გემი" დაიძრა.

— გზა მშვიდობისა! ნახვამდის! მალე დაბრუნდით! — ემშვიდობებიან გამცილებლები მგზავრებს. მერე გემი კვლავ ბრუნდება და ახალი მგზავრებით ივსება. კვლავ ტალღებად ირხევიან პატარა ხელები.

ღიმილით შეჰყურებს თამარი უფროსი „ბ" ჯგუფის აღსაზრდელთა მხიარულ მოგზაურობას და მათ შეძახილებს ფიქრ ით ეხმაურება.

— გზა მშვიდობისა, გზა მშვიდობისა, ჩემო მალხაზებო. ორი სამი თვეც და დაემშვიდობებით თქვენს საყვარელ ბაღს, სკოლისაკენ გაფრინდებით. თქვენს მაგიერ სხვები მოვლენ. ისინიც დაიზრდებიან და... გაფრინდებიან.



## კოტეს ფიქრი

ბეჯითია ჩვენი კოტე,
მუდამ შრომობს, მუდამ ხატავს,
გუშინ იყო თეთრ ფურცელზე
გამოაბა კუდი კატას.

ახლა თაგვის დახატვა სურს,
მაგრამ ზის და ფიქრობს ბავშვი:
კატუნამ რომ შეუსანსლოს
რა აჩვენოს მამას მაშინ?

## დედა-ენა

დღეს მამიკომ „დედა-ენა"
მოუტანა ციალას,
ციალამაც თავი უმალ
მიანება ბზრიალას.

კოპიტის ქვეშ ჩაცუცქული
ფურცლავს,
ფურცლავს ახალ წიგნს.
უჰ, რამდენი რამე არი!
უჰ, რამდენი ნახატი!

აგერ ია,
აგერ უთო,
აგერ მუხა,
ურემი...
დაუწითლდა ტაშის ცემით
გოგოს ხელისგულები.

რ. ლორია



ფოტო დ. იაკობაშვილის

## ყვავილების დედოფალი

ამ ჩვენს მზიას, თვალებმზიანს
ყავს მოხუცი პეტო ძია,
და ამ ძიას თავაზიანს
ეზო ბაღად მოუწყვია,
ყვავილები მოურწყვია —
ეს ღიღილო, ეს მარწყვია,
ზამბახი და ხრიზანტემა,
აღარ არის ბაღში ტევა.
გადაშლილა ვარდი, ია,
ბაღის კარი მუდამ ღია
იწვევს სტუმრებს ზაზას, ლიას,
თამრიკოს და ამალიას.
და ბეჯითი ჩვენი მზია,
ყვავილების დასტაქარი
ეხმარება მუდამ ძიას,
დაქრის როგორც ნიავქარი.
ქარმა ვარდი შეარხია,
ცა ღრუბლებში შეახვია,
წამოვიდა წვიმა ღვარად,
ყვავილნარის გასახარად.
დაფუსფუსებს პეტო ძია,
განა მარტო? მასთან არის
ჩვენი მზია, ბაღის თვალი,
ამიტომაც მას შეარქვეს
ყვავილების დედოფალი.

ფუფანა მგელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიერ გამარა

# ოქროს მიხაკი

ბავშვები უკვე აღარ კვდებოდნენ. ამიერიდან მხოლოდ მათი ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა მეცნიერება და ადამიანის გონებით შექმნილი საუცხოო მანქანები. ბავშვები უკვე აღარ კვდებოდნენ. მათ აღარ ჰქონდათ სიკვდილის უფლება.

ყველაფერი, რაზეც კი უოცნებიათ გასულ ეპოქების პოეტებსა თუ მწერლებს — დიდი ქალაქების მოძრავ ქვაფენილებსა და თავბრუდამხვევი სიჩქარის რაკეტებზე — თითქმის ეს ყველაფერი იქცა სინამდვილედ. ადამიანებმა უკვე ისწავლეს პურის მოყვანა პოლუსზე და საჰარაში. შაქარს აკეთებდნენ ცარცისაგან. აღარავინ შიმშილობდა. ქვანახშირის გახლეჩის შედეგად მიღებული სინათლით გაჩირაღდნდა ქალაქები. ადამიანმა ფეხი შედგა მთვარეზე და პლანეტებიც დაუახლოვდნენ დედამიწას თავიანთ ცნობისმოყვარე მაცხოვრებლების წყალობით.

ადამიანს უკვე შეეძლო სადაც კი სურდა, დედამიწის ნებისმიერ განედზე მოეყვანა წვიმა და ემართა ამინდი. ომები მოისპო. სახელმწიფოთა შორის სისხლიანი შუღლი კონსტრუქტორების, პოეტებისა და სპორტსმენების შეჯიბრებებმა შესცვალეს. ყველა ხალხთა სამრეწველო პროდუქცია სივრცეში ხვდებოდა ერთმანეთს. რაკეტების ტრიუმები იმტვრეოდა სიმინდის, ბრინჯის, ფორთოხლის, ქსოვილებისა და მანქანა-დანადგარების, ამერიკული ხორცის, ციმბირის პურისა და ფრანგული ღვინის სიუხვით. დედამიწაზე მოყვანილი ყოველგვარი ნაყოფი გადადიოდა ყველა სახელმწიფოს საზღვარზე ჩილიდან გრენლანდიამდე და ბორდოდან ვანკუვერამდე. წლის ყველა დროში უხვად იყო მარწყვი და მანგოს ნაყოფი, იასამანი და ვარდი. ათასგვარი სურნელ-სანელებელი, აბრეშუმი, ლითონის ნაწარმი და მანქანები ჰკვეთავდნენ მერიდიანებს... მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც ის იყო, რომ ბავშვები აღარ კვდებოდნენ. განა შეეძლო გასული საუკუნეების რომელიმე პოეტს ან რომანისტს ეოცნება მაინც ასეთ აღმოჩენაზე — რომ ბავშვები აღარ მოკვდებოდნენ არც დედის მუცელში, არც აკვანში და არც შემდეგ, სიჭაბუკეში?...

რა თქმა უნდა, უფრო გვიან, ხანდაზმულ ასაკში ადამიანი მაინც კვდებოდა, მაგრამ მედიცინისა და ქირურგიის უსაზღვრო მიღწევებით ამ ვადამ ძალიან შორს გადაიწია. თუმცა ადამიანი მაინც კვდებოდა.

მაგრამ ბავშვები, ბავშვები, ვიდრე ნორჩი სხეული და სისხლი ჯერაც ინარჩუნებს სიცოცხლის პირვანდელ ცხოველმყოფელობას — არ უნდა მომკვდარიყვნენ. ეს იყო უმთავრესი პრობლემა. და იმდროინდელ ადამიანებს არ სურდათ დიდება იმაზე მეტი, ოღონდ შესძლებოდათ ეთქვათ: ჩვენი ბავშვები ცოცხლობენ, ისინი ცხოვრობენ, ჩვენ ვაძლევთ მათ სიცოცხლეს და შევუნარჩუნებთ კიდეც ყველაფერს, რაც კი მათთვის მიგვიცია — სწორ, ლამაზ სხეულს, მოქნილ კიდურებს, ნათელ მხედველობას და ჯანსაღ გულს.

რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისიც. ხან ნაკლებად ცნობილი, ძალიან ფარული ფორმით გამოვლენილი ავადმყოფობა, ხან უბედური შემთხვევა, რომლის აცილება არც რადარულ დანადგარებს შეეძლოთ, არც მახვილ ელექტრონულ თვალს... ჰო, ეს ზოგჯერ მაინც ხდებოდა...

X X X

მიმდინარე წელს, ივლისის დამლევს უეცრად გავრცელდა ხმა, რომ ერთი პარიზელი ბიჭუნა ავად გახდა რაღაც გაურკვეველი ფორმის ციებ-ცხელებით. ამ ახალ ამბავს იუწყებოდნენ გაზეთები და ტელესტუდიები, მაგრამ განსაკუთრებით არავინ აღელვებულა. ხალხს სწამდა მედიცინის. ადამიანებს არ ეშინოდათ. იცოდნენ, რომ თუ ახლომდებარე სამედიცინო ცენტრი უძლური აღმოჩნდებოდა ახალ დაავადებასთან ბრძოლაში, მაშინ ის მიმართავდა ეროვნულ ცენტრს, რომელიც ფეხზე დააყენებდა თავისი ლაბორატორიების ყველა მკვლევარსა და მეცნიერს. გარდა ამისა, სასწრაფოდ, ავტომატურად აცნობებდნენ უცხოეთის ლაბორატორიებს, აკადემიკოსებს და ყველა დაინტერესებულ პირს. უნდა ითქვას, რომ ამ დროს არდადეგები იყო და ფეხბურთის მსოფლიო პირველობის სეზონიც მთავრდებოდა. გავიდა რამდენიმე დღე. ცნობამ ბიჭუნას ავადმყოფობის შესახებ გაზეთის შიგნითა გვერდებიდან პირველ გვერდებზე გადმოინაცვლა, სადაც, ჩვეულებრივ, კულტურისა და მეცნიერების ღირსშესანიშნავ მოვლენებზე იბეჭდებოდა ხოლმე. პირველ ხანებში განცხადებას პირველი ორი სვეტი ეკავა, შემდეგ უკვე სამი. განცხადების შინაარსი ასეთი იყო:

„პატარა პარიზელი მოწაფე კვლავ ავადაა.
ჩვენი მეცნიერები მალე დაამთავრებენ კვლევა-ძიებას.
პროფესორ რობინსონის ვარაუდი“.

სტატიაში ნათქვამი იყო, რომ პატარა ლეოპოლდი სახელგანთქმულ პროფესორ რობინსონისა და საფრანგეთის ეროვნული ცენტრის ექიმთა ჯგუფის ხანგრძლივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ბავშვი თითქმის აღარაფერს ჭამდა, ცნობიერება კი ნათელი ჰქონდა და თითქოს არც ისე იტანჯებოდა. მისი სხეულის არცერთი, სრულიად არცერთი ნაწილი არ იყო დაზიანებული. მაგრამ ავადმყოფობა თანდათანობით მაინც ძლიერდებოდა და ვერავითარი საშუალებით ვერ ახერხებდნენ მის დათრგუნვას. მიუხედავად ამისა, პროფესორ რობინსონს მაინც სჯეროდა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდებოდა. ტელეხედვა ისევ ატარებდა ინტერვიუს მედიცინის გამოჩენილ მოღვაწეებთან და განუწყვეტლივ გადასცემდა ბიოგრაფიულ ცნობებსა და განსაკუთრებულ მონაცემებს პ-ს ოჯახის შესახებ. აღნიშნავდნენ, რომ ამ მშრომელ ოჯახს თავის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული არაფერი ჰქონია. ლეოპოლდის დედა, მამა და უფროსი ძმა სრულიად ჯანმრთელნი იყვნენ.

შემდეგ ავადმყოფს სიცხემ აუწია. ბავშვმა ბოდვა დაიწყო. თბილისის სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ ჯიენაძე იმ დროს შვებულებას ბერმუნდის კუნძულებზე ატარებდა. გაიგო თუ არა ამ უცნაური დაავადების შესახებ, შეახტა პირველსავე შემხვედრ რაკეტას და პატარა ლეოპოლდისაკენ გაეშურა. განთქმულმა ამერიკელმა ბიოლოგმა უილიამსმაც მაშინვე მიატოვა ჩრდილოეთი ჩინეთი, სადაც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას აწარმოებდა და სასწრაფოდ მიაშურა პარიზს.

აგვისტოს თვის პირველმა დღეებმა მოლოდინში გაიარა. ციებ-ცხელება გრძელდებოდა. ჯიენაძემ და უილიამსმა ჯერჯერობით ვერ შესძლეს დიაგნოზის დასმა. ცნობილი გახდა მხოლოდ რომ დაწვრილებითი მოხსენებები გაიგზავნა რომისა და სანტ-იაგოს კომპეტენტურ სპეციალისტთა ბრიგადებში. სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა მეცნიერმა არტურ ბენედეტიმ უარი განაცხადა მესამე მოგზაურობაში მონაწილეობის მიღებაზე მარშრუტით დედამიწა-მთვარე, იმის გულისათვის, რომ მონაწილეობა მიეღო კონსილიუმში რობინსონთან, ჯიენაძესთან და უილიამსთან ერთად.

მსოფლიო პრესის სპეციალური კორესპონდენტები ჩამოდიოდნენ პარიზში და ახლა უკვე მილანსა და ნიუ-იორკში გაზეთის ექვს სვეტზე იბეჭდებოდა:

„ავადმყოფს კვლავ აუწია სიცხემ.
დიაგნოზი ჯერ კიდევ არ არის დასმული.“ ... და 18 აგვისტოს პირველად დაიწყეს ლაპარაკი ოქროს მიხაკზე.

X X X

სამედიცინო კვლევა-ძიებასთან ერთად აწარმოებდნენ ლეოპოლდის ნაცნობების დაკითხვასაც. დეტალურად შეისწავლეს ავადმყოფობის დაწყების წინა პერიოდი. ლეოპოლდი ჩვეულებრივ დროს მიდიოდა სკოლაში, ძალიან კარგ სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაში, სადაც პირველ კლასში მხოლოდ თხუთმეტი ბავშვი მეცადინეობდა, დადიოდა სპორტულ მოედანზე, საცურაო აუზში და ჟანგბადის კაბინეტში.

ყველანი — სკოლის ექიმი, სოციალური საბჭო, სანიტარიცა და თვით ლეოპოლდის მასწავლებელიც — აღნიშნავდნენ, რომ უცნაური არაფერი შეუნიშნავთ ბავშვის თამაშსა და მეცადინეობაში. თუმცა ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ მასწავლებელმა სთქვა: „ვალდებულად ვთვლი თავს განვაცხადო რომ ერთხელ, გეოგრაფიის გაკვეთილზე, ერთ-ერთი სასწავლო ფილმის დემონსტრაციის დროს ბავშვს აღელვება შევატყვე. ეს იყო ძველი ფილმი გობის უდაბნოს შესახებ. ეკრანზე აჩვენებდნენ უდაბნოს იმ ადგილებს, რომლებიც შემდეგში დედამიწის ყველაზე უფრო ნაყოფიერ ტერიტორიად იქცა. როგორღაც, გაკვრით ნაჩვენები იყო ისიც, თუ როგორ აღმოაჩინა ფილმის ერთერთმა გმირმა, მოგზაურმა რაღაც ქვიშოვანი მიხაკის მსგავსი პრიალა ყვითელი ყვავილი, რომელსაც არაჩვეულებრივი ნაზი არომატი ჰქონდა. მოგზაურმა ამ ყვავილს ოქროს მიხაკი უწოდა. სამწუხაროდ, არ დარჩენილიყო ამ ყვავილის არცერთი ნიმუში, რომ ბიოლოგებს შეესწავლათ და შემდეგ მებაღეებს მოეშენებინათ...“

მასწავლებელმა ისიც დაუმატა, რომ პატარა ლეოპოლდმა სწრაფად, სხაპასხუპით, უამრავი შეკითხვები დააყარა მასწავლებელს ამ ყვავილის შესახებ. უპოვნიათ თუ არა როდესმე ამ ოქროს მიხაკის სხვა ნიმუში? შეიძლება მისი ნახვა პარიზის აკლიმატიზაციის ბაღში, ან ბოტანიკურ ბაღებში სხვაგან სადმე?..

სკოლის დირექტორს, რომელიც გეოგრაფიის გაკვეთილს ატარებდა, დაბეჯითებით არაფერი სცოდნოდა ამ მცენარის შესახებ და ამიტომ რაღაც ორჭოფულად უპასუხნია. ლეოპოლდი იმედგაცრუებული იყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს და ამ უმნიშვნელო ფაქტმა-დაუკმაყოფილებელმა ცნობისმოყვარეობამ — გამოიწვია დაავადება.

ბავშვს უკეთესობა არ ეტყობოდა. და თუმცა საკვებს საკმაოდ ღებულობდა, მაინც ავადმყოფურად აღგზნებული ფერი გადაჰკრავდა და მის გამოხედვაშიც ინტერესი ჩამქრალიყო. მხოლოდ იშვიათად ნაძალადევად გაუღიმებდა მშობლებსა და ექიმს, მერე კი ისევ რაღაც ნაღვლიან თვლემას მიეცემოდა. ბოდვის წუთებში კი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ოქროს მიხაკი... ოქროს მიხაკი... ოქროს მიხაკი“...

მალე ერთმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა ცნობა ოქროს მიხაკის შესახებ, მეორემ კი დაბეჯითებით განაცხადა, რომ ლეოპოლდის შველა მხოლოდ ამ ერთი ციცქნა უცხო ყვავილს შეეძლო.

ექიმები განაგრძობდნენ კონსილიუმებს. ამავე დროს მთელი მსოფლიოს მუზეუმებსა და მცენარეთა ანატომიის ლაბორატორიებს დაეგზავნათ წერილები თხოვნით, შეეტყობინებინათ, ხომ არ მოეპოვებოდათ სადმე ოქროს მიხაკის მსგავსი ყვავილი. ფსიქოპათოლოგიის სპეციალისტებმა ხელიდან არ გაუშვეს ეს შემთხვევა და შეუდგნენ მის დეტალურ შესწავლას.

უეცრად მთელ მსოფლიოს მოედო საზარელი ამბავი: მედიცინის მეცნიერებამ აღიარა თავისი უსუსურობა. ექიმებმა ვერ მოახერხეს ავადმყოფობის სახელწოდებისა და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა. ბავშვის სამკურნალოდ გამოყენებულ იქნა ყოველგვარი წამალი, ისე რომ ექიმები დარწმუნებული არც კი იყვნენ მის ეფექტურობაში. ყველაფერი უშედეგოდ: ბავშვი ილუპებოდა. ბოდვისას ის ისევ და ისევ იმეორებდა თავის სანუკვარ სურვილს: „ოქროს მიხაკს“.

— რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უსათუოდ უნდა ვიშოვნოთ ოქროს მიხაკი, — დაასკვნეს ექიმებმა.

კინოფილმის რეჟისორისა და მისი ასისტენტების რჩევით გობის უდაბნოში გაფრინდნენ გამოცდილი ბოტანიკოსები სამი სპეციალური რაკეტით, კინოფილმის ასლები კი მსოფლიოს ყველა კუთხეში დაიგზავნა.



მხატვარი ა. ლურიე

არავინ იცოდა, როგორი იყო ეს ყვავილი. არცერთ სწავლულს არ უნახავს, არ აუწერია, არ მიუცია მისთვის ლათინური სახელწოდება, არ მიუკუთვნებია მცენარეთა რომელიმე ოჯახისათვის.

მხოლოდ ეს გამოსახულება შემოინახა კინოფირზე, ისიც ბუნდოვანი და გაურკვეველი. ნეტავ, მართლა მიხაკი კი იყო?..

ამ უცნობი ყვავილის სამშობლოში ახლა სახლები, ელექტროსადგურები და ყვავილებითა და ხილით სავსე ბაღები გაეშენებინათ. პრიალა, ყვითელფერდაკრული, არომატული ყვავილის ნიშანწყალიც კი აღარსად ჩანდა... ნეტავ მთისა იყო ეს ყვავილი თუ ბარისა, ან იქნებ შორეული ზღვების სანაპიროდან გადმოაქროლა ქარმა მისი ერთადერთი მარცვალი?...

გეოგრაფია-გეოლოგიის აკადემიკოსები წარმოსთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს. მკვლევართა ასოციაციები ამზადებდნენ ახალ ექსპედიციებს. მეცნიერებისა და მკვლევარების მოწოდებები და მიმართვები ეთერის ტალღებში ხვდებოდნენ ერთმანეთს. სათვლელი მანქანების ელექტრონული ტვინები არჩევდნენ მილიონობით ბარათს. მიხაკისებური მცენარეების ყველა ოჯახმა გაიარა მექანიკურ მანქანებში.

პატარა ლეოპოლდი კი უკვე მთლიანად მილეული ხმით ლაპარაკობდა. მისი თეთრი, თითქმის გამჭვირვალე ხელები ზეწრებიდან თითქოს მხოლოდ მისთვის აღიმართებოდნენ, რომ ჰაერში მოეხაზათ საოცნებო ყვავილის შეზნექილი ფურცლები. რა სახის ყვავილები აღარ უჩვენეს: ათასნაირი მიხაკი, პატარა, შაფრანისფერი ვარდები, მოელვარე ტულიპები. მაგრამ ლეოპოლდი არ ტყუვდებოდა და თითს უღონოდ იქნევდა. „ეგ არა, ეგ არა“... მას სწორედ ის მიხაკი უნდოდა, შორეული უდაბნოს პრიალა ოქროსფერი ყვავილი, ძლივს შესამჩნევი საუცხოო არომატით.

მებაღეებმა მეცნიერულ მუშაობას მიჰყვეს ხელი. სათბურებში, სადაც წელიწადის დროები საოცარი სისწრაფით მისდევენ ერთმანეთს, მებაღეები ცდილობდენ ამ არაჩვეულებრივი ჯიშის მიღებას. მაგრამ ბავშვი დასუსტებულ ხელს აქნევდა მარცხნიდან მარჯვნივ: „არა, არა... ეს ის ყვავილი არ არის, არა, არა...“

ბავშვს სიკვდილი უახლოვდებოდა. მსოფლიო ძრწოდა შიშით. რაკეტები, ავტოჟირები და მფრინავი ყუმბარები გუგუ-

ნებდნენ მთებზე და ველებზე და ყველას ატყობინებდნენ საზარელ ამბავს. ადამიანები ჩადიოდნენ თვალუწვდენ უფსკრულებში, იკვლევდნენ ძველ, მივიწყებულ მაღაროებს. უმამაცესნი მათ შორის გამოსთქვამდნენ თამამ იდეას: ამ მიხაკის თესლმა ალბათ დიდიხანია მიატოვა დედამიწა, — ასკვნიდნენ ისინი, — და შეიძლება ახლა რომელიმე პლანეტას არის შეფარებული. ამიტომ ეს საიდუმლო ყვავილი კოსმიურ სივრცეში უნდა მოვძებნოთ!

აგვისტოს დამლევს ლეოპოლდი ძალზე დასუსტდა. ერთხელ დილით თითქოს გამოფხიზლდა და თავის სასთუმალთან დახრილი დედა შენიშნა. საცოდავ ქალს დარდით ერღვეოდა გული, აღარ იცოდა რომელი წამალი მიეცა ბავშვისთვის. დედამ შუბლზე გადაუსვა ლეოპოლდს ხელი და რწმენით, იმ რწმენით, რომელიც მხოლოდ დედას შეიძლება ჰქონდეს, უჩურჩულა:

— დამშვიდდი, შვილო, მალე გექნება ოქროს მიხაკი! მალე მოგიტანენ...

— მართლა ჩამომიტანენ? — ჩურჩულითვე შეეკითხა ლეოპოლდი.

— ჰო, მშვიდად იყავი, მალე მოგიტანენ, — უპასუხა დედამ. გულში კი ფიქრობდა: მაინც რა არის ეს ავადმყოფობა? საიდან გაჩნდა ეს განუსჯელი სურვილი, ასე რომ ანადგურებს მისი შვილის ჯანმრთელობას? და ჩურჩულით დაუწყო მოყოლა იმათზე, ვინც დადის, დაფრინავს და შორეულ ზღვებში სცურავს მისი ყვავილის საძებრად.

— შენ ის უსათუოდ გექნება, მე მჯერა.

სულის სიღრმეში მან სიკვდილი გამოიწვია ორთაბრძოლაში. ის ერთბაშად შეიპყრო ყველა დროისა და ეპოქის დედების შიშმა და სიმამაცემ; იმ დედებისა, რომლებიც ზრდიდნენ, ელოლიავებოდნენ და დაჰკანკალებდნენ თავიანთ შვილებს; იმ ათიათასობით დედებისა, რომლებსაც თვალწინ მოჰკვდომიათ თავისი პირმშო, თავისი სისხლი და ხორცი...

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. ქუჩის ხმაური და ზაფხულის სიცხე იყო კედლებს იქით. ბავშვი ძილ-ფხიზლობდა, თვლემდა და ბურანში ხედავდა შორეულ სივრცეებსა და იმ ადამიანებს, რომლებიც მისი გულისათვის სერავდნენ თვალუწვდენ სივრცეებს და დაეძებდნენ ყვავილს, რომლის არომატი უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე ზღვაურის ქროლვა...

მოულოდნელად კარი გაიღო. ოთახში ვიღაც შემოვიდა. ოქროსფერი ათინათი დაეფინა ზეწარს, ბავშვის სახესა და ხელებს. მან, გაოცებულმა, თვალები გაახილა.

მისი საწოლი ყვავილებით იყო სავსე. ეს მისი მიხაკები იყო, ნამდვილად მისი, რომლებზეც ამდენი უფიქრია და უოცნებია. მას ერთი მიხაკი სურდა, ამხელა კონა კი მიიღო. ჰოდა, შემდეგაც მოსდიოდა და მოსდიოდა მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ბიჭუნასათვის მებაღე-სელექციონერების მიერ გამოყვანილ ოქროს მიხაკებს კრეფდნენ მეცნიერები, მამაცი მოგზაურები, მეზღვაურები, რაკეტის მძღოლები და ვინ იცის კიდევ რამდენი პროფესიის ადამიანები... ასეთი ძალა ჩაუნერგა ბავშვის დაუოკებელმა სურვილმა ადამიანებს და ამ ძალას ძალიან დიდი რაღაცის გაკეთება შეეძლო. იმაზე მეტიც, ვიდრე უკანასკნელი ავადმყოფი ბავშვის გადასარჩენად იყო საჭირო.

ლეოპოლდმა მიხაკი აიღო, პირთან მიიტანა და გაიღიმა. თვალები აუელვარდა და ეს ელვარება ავადმყოფობისა აღარ იყო!

— ეს ის ყვავილია! ვიცანი, ვიცანი!

მან სიხარულისაგან ღრმად ამოისუნთქა. დედა ნაზად უსვამდა ხელს სახეზე. ბოროტი ავადმყოფობა უნდა გამქრალიყო, დედა ამას მიხვდა, ნამდვილად დარწმუნდა.

დაღამდა. ლეოპოლდი მშვიდ და სასიამოვნო სიზმრებს მინებდა. ოთახში დარჩა მხოლოდ მძინარე ბავშვი, დედა და კიდევ რაღაც ბუნდოვანი ჩრდილები, რომლებიც ქრებოდნენ ყვავილების ოქროსფერ ციმციმში.

თარგმნა რუსულიდან ჟუჟუნა ნიჟარაძემ

# „ბავშვთა სამყარო"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის მოედნის რომელ მხარეზეც არ უნდა დადგეთ, აუცილებლად დაინახავთ დიდი ორსართულიანი შენობის თავზე გაკეთებულ წარწერას „ბავშვთა სამყარო". ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ვინმე, საკუთარი ან სხვისი ბავშვების გახარების სურვილი არ დაებადოს და ამ მაღაზიისაკენ არ აიღოს გეზი.

ფართო შესასვლელში უამრავი ხალხი ირევა. ზოგი მარცხნივ უხვევს, ზოგი მარჯვნივ, ზოგი პირდაპირი მიმართულებით მიდის, ზოგიც სხვადასხვა ნავაჭრით დატვირთული, განიერი გასასვლელისკენ მიეშურება. აქ ყველაფერი თვალს ახარებს. ნათელი, დიდი ოთახები, ლამაზად გაფორმებული, დახლები, მოხდენილი, ზნოიანი გამყიდველები და თვალებგაბრწყინებული პატარა მომხმარებლები.

შედგამთ თუ არა ფეხს მაღაზიაში, აუცილებლად ჩაგესმებათ რომელიმე მელოდია, იგი პირველი სართულის მარჯვენა მხრიდან მოისმის. მელოდია შესასვლელის თავზე მოთავსებული რეპროდუქტორიდან იღვრება, მაგრამ ეს საქართველოს რადიოკომიტეტის გადმოცემა არ გეგონოთ, აქ მუსიკალური განყოფილება გახლავთ და გადმოცემაც იქიდანაა მოწყობილი. გადაცემათა მოწყობა უნივერმაღის ყველა სექციიდანაა შესაძლებელი. ამ საშუალებით დირექციაც ხშირად ესაუბრება ხოლმე თავის პაწია მომხმარებლებსა და მათ მშობლებს, აცნობს მაღაზიის სიახლესა და საჭირბოროტო საკითხებს.

ყველაზე უფრო კი მუსიკალური განყოფილების მუშაკებს სჭირდებათ რადიოგადაცემა, ამ ხერხით ისინი შესანიშნავად ახერხებენ თავიანთი საქონლის, განსაკუთრებით კი ფირფიტების რეკლამას. აქ ხშირად ნახავთ შეჯგუფულ პაწიებს, დაფიქრებული სახით რომ უსმენენ „წითელქუდასა" და „თეთრთოვლას" თავგადასავალს.

თაროებზე კოხტად განულაგებიათ სხვადასხვა სახის საკრავები, რადიომიმღებები, ტელევიზორები, მუსიკალური ინსტრუმენტების ნაწილები, ფირფიტები.

— საბავშვო სიმღერების ფირფიტები თუ გაქვთ? — ვეკითხებით გამყიდველს.

— არა! — მოკლედ მოგვიგებს იგი.

— აბა, ეს რა ფირფიტებია?!

— რუსული ზღაპრები და ისე... სიმღერები.

— რუსული ზღაპრები კარგია, მაგრამ ქართულიც რომ გქონდეთ, ურიგო არ იქნებოდა. — პასუხის მაგივრად გამყიდველი ახლა მხრებს იჩეჩავს.

მუსიკალური განყოფილების პირდაპირ ტრიკოტაჟის სექციაა. მაღაზიის არცერთ სექციას არა ჰყავს ამდენი მუშტარი, მითუმეტეს თუ კარგი საქონელია გამოტანილი.

— ქალიშვილო, ქალიშვილო. — ცდილობს ყველას ხმა დაფაროს ხანშიშესულმა მანდილოსანმა, — ის ყვითელი კოსტუმი 38 ზომისა თუ გაქვთ?

— რა არის, კაცო, — წუწუნებს პირ-

ხმელი შავგვრემანი ქალი, რა იქნება ყველა ზომისა იყოს ეს გრძელსახელოებიანი მაისურები.

— რას იზამთ, არ ყოფნის ჩვენ ბავშვებს საქონელი, თანაც სასურველია უკეთესი ხარისხისა იყოს. — ავტორიტეტული კილოთი აცხადებს სათვალებიანი ჩასუქებული მამაკაცი და კრიტიკულად შესცქერის თაროებს.

დახლს იქით მოფუსფუსე ქალიშვილი არცერთ მომხმარებელს არ ტოვებს უყურადღებოდ. მოწუწუნე ქალსაც პასუხობს: რა ვქნათ, ეგ ზომა უკვე გავყიდეთ. — და ხანშიშესულ მანდილოსანსაც აწვდის ყვითელ კოსტუმს.

ქვედა სართულის დიდ დარბაზში რამდენიმე განყოფილებაა მოთავსებული: ნორჩი ტექნიკოსების, სპორტული, ავეჯის, სათამაშოების და სხვა. სათამაშოების განყოფილება მეორე სართულზედაც არის, რაც სავსებით გამართლებულია სათამაშოებზე დიდი მოთხოვნილების გამო.

სათამაშოების სექცია მიმზიდველადაა გაფორმებული. თავაზიანი გამყიდველი გოგონები კი მონდომებულნი არიან თუ საჭირო საქონლით ვერა, წესიერი პასუხით მაინც დააკმაყოფილონ მომხმარებლები. ანდა რა იმათი ბრალია, თუ ხშირად უხარისხოდ დამზადებული სათამაშო მალე იშლება და გადასაგდები ხდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამავე სართულზეა „ნორჩ ტექნიკოსთა“ სექცია. აქ ხშირად ნახავთ 10-12 წლის ბიჭუნებს, ყურადღებით რომ ათვალიერებენ ლამაზ კოლოფებში ჩალაგებულ სხვადასხვა ფიგურების გამოსახერხ იარაღების კომპლექტს, სადურგლო ხელსაწყოებს, დომინოსა და სხვას, გულდასმით სინჯავენ თვითეულ მათგანს და მშობლებს მუდარით სავსე თვალებით შეჰყურებენ.





რაც შეეხება ავეჯისა და საოჯახო საქონლის სექციებს, პაწიებისათვის განკუთვნილ ნივთებს საოჯახო საქონელი სჭარბობს, რაც უთუოდ საბავშვო დაწესებულებების მოსამარაგებლად და მშობელთა დროის ეკონომიისათვისაა მოწოდებული.

სექცია ახდენს საქონლის ბინაზე გაგზავნას თავისი მუშახელითა და ტრანსპორტით. ეს, რა თქმა უნდა, დიდად უმსუბუქებს მშობლებს და დაწესებულებებს ხარჯსაც და შრომასაც.

კიბესთან, რომელსაც მეორე სართულზე აჰყავხართ, ახალგაზრდა დედა ჩამომჯდარა და საკმაოდ უხერხულ პოზაში ბავშვს ძუძუს აწოვებს. უნივერმაღს არ გააჩნია ბავშვთა ოთახი. სადაც შესაძლებელი იქნება ბავშვის დროებით დატოვება, სანამ დედა ორსართულიან მაღაზიას შემოივლის.

— რა ვქნა, ვიბრძვი, მაგრამ არაფერი გამომდის, — ნაწყენი კილოთი განაცხადა უნივერმაღის დირექტორმა ეთერ შატბერაშვილმა, — ხომ ხედავთ, ასე „მეჩაგრებიან“ ჩემი პატარები, გვეუბნება იგი.

მეორე სართულის სათამაშოების სექციაში ახალგაზრდა წყვილმა სამთვალიანი ველოსიპედი იყიდა.

— რამდენი წლის ბავშვისთვის მიგაქვთ? — შეეკითხა თავის კაბინეტიდან გამოსული დირექტორი.

— სამი წლის ბიჭისთვის, — დაასწრო პასუხი ქმარს ყურადღებით კმაყოფილმა ქალმა.

— მოითმინეთ, — შეაჩერა ისინი დირექტორმა და გამყიდველ ქალს მიუახლოვდა:

— რატომ მიჰყიდეთ ეს ველოსიპედი ამ ახალგაზრდებს?! — ქალიშვილს უზომო გაოცება აესახა სახეზე.

— ჰკითხეთ, რამდენი წლის ბავშვისთვის მიჰქონდათ? — გამყიდველის გაოცება უხერხულობით შეიცვალა.

როგორც გამოირკვა, ეს ველოსიპედი



უფრო მოზრდილი ბავშვებისთვის იყო გათვალისწინებული. ახალგაზრდა წყვილი უველოსიპედოდ, მაგრამ რაღაცით გახარებული დაეშვა კიბეზე.

მეორე სართულზე სათამაშოების გარდა გახლავთ ფეხსაცმლის, მზა ტანსაცმლის, ქსოვილებისა და სხვა სექციები.

ფეხსაცმლის სექციასთან არცერთი მომხმარებელი არა ჩანს... ვისა ჰყავს ფეხებდასამტვრევი შვილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამდენი რამე ითქვა უხარისხო საქონლის შესახებ კონფერენციაზე, რომელიც მაღაზიის დირექციამ აპრილის პირველ რიცხვებში მოაწყო. რა ცხარე კამათი და პაექრობა გაიმართა, როგორ იმართლებდნენ თავს მომწოდებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. მაგრამ განა ეს შველის საქმეს, და განა პირველად იწერება ამის შესახებ!?.

ბავშვები, ჩვენი ცხოვრების უმკნობი ყვავილები, ჩვენი მომავალია და აზრს, სტიმულსა და ლაზათს აძლევენ ჩვენ სიცოცხლეს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი ყველაზე „შეუბრალებელნი“ არიან, არ დაგიდევენ არავითარ ტექნიკურ თუ სხვა მიზეზს და უფროსებისაგან მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვენ. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვაჭრობის იქნება ეს თუ სხვა დარგის მუშაკი.

ნანული სიმონიძე



ფოტო დ. იაკობაშვილის

აგერ № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მიერ დამზადებული № 23 ტუფლი. ეს ზომა 2-3 წლის ბავშვისთვისაა გათვალისწინებული. ვის შეუძლია დამშვიდებით მოჰკიდოს ხელი ამ ფეხსაცმელს და წყრომის გამომხატველი სიტყვა არ აღმოხდეს. ტლანქი, მძიმე, ულამაზო. როდემდის უნდა იყვეს, ნეტავ ბავშვის ფეხსაცმელი „პრობლემა“ მშობლებისათვის?!

გამყიდველები უიმედოდ იქნევენ ხელს. როგორც ჩანს, გული სტკივათ უსაქმოდ რომ დგანან.

არც მზა ტანსაცმლის სექციაშია უკეთესი მდგომარეობა: ბიჭების პერანგები მხოლოდ 34-36 ზომებია, რა ქნან სხვებმა?! საზაფხულო მოკლე შარვლები საერთოდ არა აქვთ. ერთადერთი, რაც თვალს ახარებს, ეს არის საქონლის ფაქიზად და კოხტად განლაგება, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი მაღაზიისთვისაა დამახასიათებელი. ვერ შეხვდებით ვაჟების ვერცერთ გაუუთოვებელ სასკოლო ფორმას, თანაც ყველაფერი საკიდებზეა ჩამოკიდებული.

გოგონების საქმე უფრო უკეთესადაა. მათთვის უფრო დიდია ასორტიმენტი. მართალია „ქალები“ უფრო მეტი მოყვარული არიან ჩაცმისა, მაგრამ „მამაკაცების“ დაჩაგვრას ვინ მოითმენს!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ღვაწლმოსილი ხელოვანი

ფანჯარასთან მდგარ პატარა ძველებურ მაგიდას უზის სათნო გარეგნობის მოხუცი ქალი, თმაში ჭაღარა გამორევია, თვალებში ახალგაზრდული ცეცხლი და ხალისი უნთია. დაფიქრებული ათვალიერებს ძველ პროგრამებს, გაყვითლებულ აფიშებს, ფოტოსურათებს... ეს გახლავთ გამოჩენილი რუსი მსახიობი ეკატერინე ალექსანდრეს ასული სატინა, მის წინ გადაშლილი ხელნაწერი კი, მისი ცხოვრების მატიანე — მოგონებებია, რომელიც ამ მოკლე ხანში იქნება გამოცემული.



ეკატერინე სატინა დაიბადა კიევში, გამოჩენილი უკრაინელი დასტაქრის ალექსანდრე იაცენკოს ოჯახში. მამა დიდი თაყვანისმცემელი იყო პოეზიისა და ხელოვნებისა, შვილსაც ამასვე უნერგავდა. ჯერ კიდევ შორეულ ბავშვობაში იფეთქა იმ ნაპერწკალმა, რომელიც თეატრისადმი სიყვარულის ჩაუქრობ კოცონად ანთია მსახიობის გულში ნახევარი საუკუნის მანძილზე.

კიევის ქალთა სასწავლებელში გამართულმა პირველმა საჯარო წარმოდგენებმა და წარმატებამ განუმტკიცეს აზრი — გახდეს მსახიობი, სამუდამოდ დაუკავშიროს თავისი ბედი თეატრს. შემდეგ კი სცენისმოყვარეთა წარმოდგენები, საქველმოქმედო საღამოები და, ცნობილი თეატრალური მოღვაწის ალ. ქელიაბუჟსკის რჩევით, პეტერბურგის სასცენო ხელოვნების სასწავლებელში შესვლა (1910 წ.), რომელსაც ისეთი გამოცდილი პედაგოგები ხელმძღვანელობდნენ, როგორებიც იყვნენ პეტროვსკი და იაკოვლევი.

სწავლის პერიოდში მომავალი მსახიობი ხშირად დადიოდა პეტერბურგის ალექსანდრულ თეატრში, გულდასმით უკვირდებოდა მ. გ. სავინას, ვლ. დავიდოვის, კ. ვარლამოვის და სცენის სხვა კორიფეთა ხელოვნებას, ესწრებოდა უცხოელ გასტროლიორთა წარმოდგენებს, მოგზაურობდა საზღვარგარეთ.

სწავლების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მსახიობი მუშაობას იწყებს პროვინციაში, თამაშობს ახალგაზრდა პრანჭია ქალების როლებს, მოდურ სალონურ როლებთან ერთად. იგი სერიოზულად მუშაობს რუსულ და დასავლეთ ევროპის კლასიკურ სახეებზეც.

1915 წ. ცნობილმა რეჟისორმა ე. ტუგანოვმა ეკ. სატინა საქართველოში, თბილისის არტისტული საზოგადოების თეატრში მოიწვია. დებიუტი მოეწყო მირტოვას პიესაში „პატარა ქალი", რომლის დადგმა ცნობილ ქართველ რეჟისორს ალ. წუწუნავას ეკუთვნოდა. ამრიგად, 1915 წ. რუსმა მსახიობმა თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეკ. სატინა პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ინტენსიურ აქტიორულ მუშაობას ეწეოდა წითელი არმიის თეატრში, 1932 წლიდან კი — თბილისის სახელმწიფო რუსულ დრამაში, რომელსაც 1934 წელს ალ. გრიბოედოვის სახელი მიენიჭა.

ალ. გრიბოედოვის თეატრი... ამ თეატრის პატარა სცენაზე შექმნა მან თავისი საუკეთესო როლები.

ამ თეატრში შეხვდა იგი გამოჩენილ საბჭოთა რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს. დიდმა რეჟისორმა ამ თეატრში გორკის პიესა „ფსკერზე" დადგა. სატინა მისი ასისტენტი და ვარვარას როლის შემსრულებელი იყო.

ბევრი იყო სიხარული და გამარჯვება, მაგრამ იყო წუხილიც, იყო უძილო ღამეები, მოუსვენარი ძიება ახლისა... სამასზე მეტი როლი ითამაშა ეკ. სატინამ და არცერთი არ ჰგავდა ერთმანეთს, ყოველ მათგანს ისე თამაშობდა, თითქოს პირველად გამოდიოდა სცენაზე.

### ბუზღუნა

არ დავწვები, თუ მარტო
დაძინება მომიწევს.
ან დედიკო მომიწვეს,
ან მამიკო მომიწვეს.

მოდით, ყველა მოგროვდით
ამ ბუზღუნას გარშემო,
ხომ ცუდია ასეთი
ჯიუტობა ბავშვებო?

ნ. გაბრიჩიძე

### ფეხბურთელები

თამაშობენ ფეხბურთს,
გაიწუწნენ ოფლით,
ორი გუნდი თამაშობს,
ორივ ერთი სოფლის.

ზემო უბნის ბიჭებმა
გაიტანეს გოლი
და მოიგეს თამაში
ასე — ერთით ნოლი.

თ. შათირიშვილი

### გამოცანები

ავიჭრელე ლალისფერი
კაბა შავი ხალებით,
ყელი კოხტად მოვიღერე,
დავამშვენე ყანები.

გარედან თეთრად ქათქათებს,
ორი ფერი აქვს შიგნით,
ზოგჯერ კი ცოცხალ არსებად
გადაიქცევა იგი.

დამიკვირდი — გამოცნობა
სულ არ არის ძნელი,
შუადღისას მოკლე ვარ და
მზის ჩასვლისას გრძელი.

როცა ვმწიფდები, ვხარხარებ,
ბურთივითა ვარ მრგვალი,
თუ გამხლეჩ, გადმოიშლება
ბლომად მძივები ლალის.

ის ხან დინჯად მილივლივებს,
ხან კი მირბის გამალებით,
არც საკუთარ საქმის გამო
და არც სხვისი დავალებით.

აბა კარგად დაუფიქრდი,
გამოიცნობ ხელად,
ვინც შინ შევა და გამოვა
ის ხელს ართმევს ყველას.

შ. ამირანაშვილი

# ბავშვთა შემოქმედება



ნ. ცერაძე (6 წლის)—„გოგონა და სახლი".



ა. ასათიანი (X კლ. მოსწავლე)—„მამაკაცის პორტრეტი".

ნ. ნაკაშიძე (VI კლ. მოსწავლე)—„ზამთარი".





მ. ვარდოსანიძე (IX კლ. მოსწავლე)—„დეკორატიული მოტივი".



გ. მამულაშვილი (VI კლ. მოსწავლე)—„[illegible]".

თ. თადუაძე (14 წლის)—„ჩემი ძმა".





ი. ჩიტაძე (6 წლის)—„ჯარისკაცები".

ც. ბუჭღულაშვილი (VIII კლ. მოსწავლე)—„პეიზაჟი".



ეკ. სატინა ოსტატურად ფლობს დასავლეთის დრამატურგიას, ბევრი საინტერესო სახე შექმნა შექსპირის, შილერის, მოლიერის, შოუს, შერიდანის, ბალზაკისა და სოფოკლეს პიესებში, მაგრამ ძირითადად იგი მაინც რუსული რეპერტუარის მსახიობია. თავისი სასცენო მოღვაწეობის ხანგრძლივ მანძილზე მან ითამაშა ალ. გრიბოედოვის, ნ. გოგოლის, ი. ტურგენევის, ლევ ტოლსტოის, ალ. ტოლსტოის და სხვა რუს კლასიკოსთა კომედიებსა და დრამებში, მაგრამ შემოქმედებითად მისთვის ახლობელი მაინც დიდი რუსი დრამატურგი ალ. ოსტროვსკი იყო, რომლის პიესებში 21 სახე შექმნა.

სატინა დიდი შემოქმედებითი დიაპაზონის მსახიობია. იგი ერთნაირი ოსტატობითა და ნიჭით ანსახიერებს როგორც კომიკურ, ხშირად გროტესკამდე მისულ სატირიკულ, ისე მკვეთრ დრამატულ სახეებს.

ეკ. სატინა რეალისტი მსახიობია. იგი ყოველთვის გადამწყვეტ ადგილს უთმობს გმირის შინაგანი ბუნების, ხასიათის, ვნებათა ფსიქოლოგიური სიმართლით გადმოცემას, მაგრამ ამასთანავე დიდ ყურადღებას აქცევს როლის გარეგნულ დამუშავებასაც, ბევრ დროს ანდომებს გრიმს, კოსტუმს, სახის პლასტიკის გამომუშავებას და, განსაკუთრებით, როლის მეტყველებით მხარეს.

ქართულმა პიესებმა გარკვეული ადგილი დაიკავეს მის რეპერტუარში. ეკ. სატინამ წარმატებით ითამაშა ფატი ზიკოვა შ. დადიანის პიესაში „ნაპერწკლიდან“, ზეინაბი—ალ. სუმბათაშვილის „ღალატში“ და ვარო—ო. ჩიჯავაძის „თხუნელაში“.

საბჭოთა ავტორების პიესებში მსახიობი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მამხილებელ, სატირიკულ თემას, ბრძოლას უცხადებს ყველაფერ უხამსს, მახინჯს ჩვენს სინამდვილეში, ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ცხოვრების წინსვლას.

წითელ ხაზად გასდევს ეკ. სატინას შემოქმედებას ერთი დიდი, მნიშვნელოვანი თემა — დედის თემა. იგი სცენაზე, თუ კონცერტებში კვლავ და კვლავ უბრუნდება ამ თემას და განასახიერებს სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა სოციალური წარმოშობის დედათა სახეებს.

ეკ. სატინა ხშირად გამოდის ლიტერატურულ საღამოებზე, კონცერტებზე, მნიშვნელოვან საშეფო მუშაობას ეწეოდა დიდი სამამულო ომის წლებში.

X X X

...ფანჯარაში სიბნელე შემოიპარა. ქუჩაში აინთო ფანრები, მოხუცი კი მაგიდასთან ზის ჩაფიქრებული, იგონებს საიუბილეო საღამოს — ზეიმს, მაყურებელთა და მეგობართა გულმხურვალე მოლოცვებს, იმ სიყვარულს და პატივისცემას, რომელიც მისმა ამხანაგებმა გამოხატეს. ჯერ კიდევ წითლად ციმციმებენ საიუბილეო კალათაში ჩაწნული ყვავილები, ისევ ესმის ტაში... მსახიობი თითქოს ფიქრს წყვეტს... სინათლეს ანთებს, იღებს ხელში პიესების წიგნს და კითხვას იწყებს... ახალ როლზე ოცნებობს. წინ კიდევ ბევრი გეგმაა... საყვარელი სცენა, მაყურებლები ეძახიან, რომელთაც ნახევარი საუკუნის მანძილზე კეთილსინდისიერად და ერთგულად ემსახურება ნიჭიერი შემოქმედი.

დოცენტი **ნ. შალუტაშვილი**

# დიდი ცხოვრების გზაზე

სამამულო ომის დღეებია. ფრონტის მებრძოლებმა ახალი თბილი ტანსაცმელი მიიღეს თბილისელი ქალიშვილებისაგან. ერთ-ერთმა მებრძოლმა მიღებული ტანსაცმელი იღლიაში ამოიდო და სანგარში თავდახრილმა ჩაირბინა, საჩქაროდ გაიძრო ძველი ხალათი და ახალი გადაიცვა, ტანზე ჩამოისწორა, ჯიბეში ფელი ჩაიყო და სათუთად დაკეცილი წერილი ამოიღო, გაშალა, მაგრამ ვერ წაიკითხა, ასოები უცნობი იყო... შეწუხდა. სანგრიდან გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა, ჩქარა მეორე სანგარში ჩავიდა, ბიჭებს ნაწერი გაუწოდა და ქართველებმა წაუკითხეს: „მებრძოლო, რომელიც ამ ხალათს ჩაიცმევ, სულერთია რუსი იქნები, ქართველი თუ სხვა ერის შვილი, გისურვებ მტერზე გამარჯვებას!

თბილისი, პირველი სამკერვალო ფაბრიკა, ევგენია სხირტლაძე“.

* * *

ევგენია სხირტლაძე 10 წლის იყო, როდესაც მშობლები დაეხოცა და ნუგეშად მხოლოდ სამი წლის ძმა რაჟდენი დარჩა. უსიხარულო იყო მათი ბავშვობა; ან კი, როდემდის შეეძლოთ კეთილ მეზობლებს და მახლობლებს ორი ბავშვისათვის მუდმივი დახმარების აღმოჩენა?

...და აი, სამკერვალო ფაბრიკის კეთილმა ადამიანებმა შეიფარეს გოგონა. იგი № 5 საამქროში მოწაფედ ჩარიცხეს. რა ვრცელი და მაღალჭერიანი ეჩვენებოდა მაშინ ევგენიას საამქროები! ძნელია შეუჩვეველ გოგონას რამდენიმე საათი მანქანასთან ყოფნა, მაგრამ კეთილი იყო ელენე დეიდა, მისი საამქროს ბრიგადირი. ევგენია ელენე დეიდას კალთას ამოეფარა და მის საქმიანობას აკვირდებოდა; აოცებდა მანქანების ხმაური, გადახედავდა საამქროს სიღრმეში ჩამწკრივებულ ქალიშვილებს და გულში ოცნებობდა: როდისმე თუ ეღირსებოდა მასაც ასე დამოუკიდებლად ჯდომა მანქანასთან. ჩქარა შეეჩვია ფაბრიკის მუშებს, საამქროს და რაც მთავარი იყო, მანქანასთან ჯდომას. ჩქარა გაიგო მანქანის საიდუმლო და დამოუკიდებელი შრომა დაიწყო.

ფაბრიკის კოლექტივს არ გამოეპარა გოგონას მონდომება და ხალისი შრომისადმი. ამავე წელს კომკავშირის რიგებში მიიღეს. ეს პირველი ზეიმი იყო ევგენიასათვის. ომის წლებში ფაბრიკის კოლექტივი ღამეებს ათენებდა, სამხედრო ტანსაცმელს კერავდა და მებრძოლებს უგზავნიდა.

როგორ დაავიწყდებათ ფაბრიკის ძველ მუშებს პატარა შავთვალა ქალიშვილის შრომა იმ წლებში. მაშინ მოწინავეთა დაფას მისი სურათი მუდმივად ამშვენებდა.

1948 წელს ევგენია პარტიის რიგებში მიიღეს... ამავე წელს დააწინაურეს და № 2 საამქროში დეტალების დანომრვაზე გადაიყვანეს, სადაც დღესაც მუშაობს. წლების განმავლობაში 4 ბრიგადას უწევდა მომსახურებას და ორი ადამიანის ნორმას დროულად და გადაჭარბებით ასრულებდა.

— აი, თურმე რა შეძლებია ამ პაწაწინა ფოლადის ნემსს, — ფიქრობს ევგენია — მაგრამ თუ კი შრომა გიყვარს, ყოველგვარ საქმიანობას შეუძლია გაგხადოს ცნობილი, არ არსებობს პატარა და დიდი საქმე...

...რამოდენიმე თვის წინათ ფაბრიკის კოლექტივში მითქმა-მოთქმა შეიქნა. ყველას სურდა თავისი წვლილი შეეტანა საკითხის გადაწყვეტაში. ყველას სურდა სურპრიზი მოეწყო ევგენიასათვის.

თუმცა ამ სამზადისში ევგენიას მშობლები არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ფაბრიკის კოლექტივმა კარგი საქორწილო თადარიგი დაიჭირა და საპატარძლო კაბაშიც გამოაწყო იგი. შრომისმოყვარე ქალიშვილმა მასავით მშრომელ ყმაწვილზე შეაჩერა არჩევანი — მაუდკამვოლის კომბინატის მუშას მიხეილ სვანიშვილს გაჰყვა ცოლად. ახლა უფრო იგრძნო ევგენიამ, რა ახლობლები ყოფილან მისთვის აი, ეს ადამიანები, თავდახრილი რომ სხედან მანქანებთან.

**დოდო ზურაბიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელენე სიბილა

თამრო — „ჩატეხილი ხიდი“



მშობლები სიხარულისაგან ცას ეწივნენ, როცა თავიანთი ცქრიალა ელენე წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში მიაბარეს.

და დაიწყო ტკბილი ოცნება:

დედას უნდოდა მისი გოგონა პედაგოგი გამოსულიყო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც მასწავლებელს შეეტანა წვლილი.

მამა კი ნატრობდა: მშვენებით სავსე შვილი ექიმი ხალხის მკურნალი გამხდარიყო.

ასე ოცნებობდნენ მშობლები და სრულიად გამორჩათ მხედველობიდან ის ამბავი, რომ მათს ოჯახში შექმნილი ვითარება ბავშვს სულ სხვა პროფესიისათვის ამზადებდა.

დედას, ხატიაშვილის ქალს — მუსიკის მოტრფიალესა და ზაქარია ფალიაშვილის გუნდის წევრს, მამას, ივანე მჭედლიშვილს — ქართული თეატრის მსახიობს, ოჯახში რაზე ექნებოდათ ლაპარაკი, თუ არა ხელოვნებაზე? და პატარა გოგონაც გაფაციცებით უსმენდა უფროსებს და თეატრის სიყვარულით იმსჭვალებოდა. მამას ხშირად თავისი ელენე თეატრში დაჰყავდა და ზოგჯერ კულისებშიც შეიყვანდა ხოლმე. თეატრის კულისების ანდამატურმა ძალამ სამუდამოდ შებოჭა გოგონა. მსახიობობა ოცნებად გადაექცა. თეატრში მას უფრო დრამა იზიდავდა. აბა, ნუცა ჩხეიძის ან ტასო აბაშიძის მნახველ ქალს როგორ არ მოენატრებოდა მსახიობი გამხდარიყო. სკოლაში სწავლასთან ერთად, გოგონა გამოჩენილ ბალეტმეისტერ მიხეილ მორდკინის სტუდიის მოწაფე იყო. ცეკვის ტექნიკას იგი კარგად დაეუფლა, მაგრამ ბალერინობა ისე არ იზიდავდა, როგორც დრამა. 1922 წელს ელენემ წარმატებით დაამთავრა ტექნიკუმი და თეატრს მიაშურა. ის სახალხო სახლთან არსებული დრამატული წრის წევრი გახდა და თავისი დაკვირვებული თამაშით საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ სახე უცვალა ჩვენს ქვეყანას. ისტორიას ჩაბარდა ძველი ცნება — პროვინცია. პერიფერიებში დაარსდა სახელმწიფო თეატრები მუდმივი დასებით. 1931 წლამდე ელენე სიბილა სოხუმში, ქუთაისში, ფოთსა და ჭიათურაში მუშაობდა. ყველგან წარმატებით სარგებლობდა და ნიჭიერი მსახიობის სახელი დაიმკვიდრა.

1931—1959 წლებში ელენე მუშაობდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში და აქაც ავლენდა თავის ოსტატობას. საკმარისია დავასახელოთ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მის მიერ შესრულებული როლები, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მსახიობის დიაპაზონზე. დეზდემონა („ოტელო“), ლუიზა („ვერაგობა და სიყვარული“), პასკვალა („ცხვრის წყარო“); ევა ბერგი („ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“), მარეხი („მზის დაბნელება საქართველოში“), იორკის დედოფალი („რიჩარდ III“) და სხვ.

ზოგიერთების აზრით, დუბლიორებს ბედი არ წყალობთ — რეცენზიები პრემიერაზე იწერება და დუბლიორზე, რაც არ უნდა კარგი იყოს, კრინტს აღარავინ სძრავს. შეიძლება ეს მართალიც იყოს. ელენე სიბილა ხშირად ამა თუ იმ გამოჩენილი მსახიობის დუბლიორი იყო, რეცენზენტები მას არ ანებივრებდნენ და თითქმის არაფერს წერდნენ მის თამაშზე. მაგრამ, როცა კი სიბილა პრემიერაზე გამოსულა, თუნდაც ეპიზოდურ როლში, თითქმის ყოველთვის აღუნიშნავთ მისი ოსტატობა. სიბილა ეპიზოდურ როლებშიც იმდენად კოლორიტულია, თავისებური და ორიგინალური, რომ რეცენზენტს თავის მოვალეობად მიაჩნია ცალკე გამოჰყოს ამ მსახიობის თამაში.

რეცენზიების გახსენება შორს წაგვიყვანს. მინდა მხოლოდ ჩვენი თეატრის ტრუბადურის პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის კერძო წერილიდან ერთი ადგილი გავიხსენო: „...სიბილა ერთნაირის ეშხით გამოდის სცენაზე, როგორც კომედიაში, ისე დრამაში. ორივე როლი ემარჯვება, გარდასახვის დიდი ოსტატია. კომედიაში მუდამ ცქრიალა, კისკისაა, მისი სცენაზე გამოჩენა გაზაფხულსა ჰგავს. ასევე მომხიბლავია დრამაში, მისი ცრემლები მაყურებელში გადადის და ყველას, დიდსა და პატარას, თვალი ცრემლით ენამება... ელენე სიბილა მუდამ გონიერად ეკიდება მიღებულ როლს, სწავლობს“.

ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველებს გავაცნოთ კოტე მარჯანიშვილის მიერ ელენე სიბილასადმი მიწერილი ერთი პატარა წერილის შინაარსი:

„პატივცემულო ამხანაგო ელენე!

გიგზავნით ნატაშას როლს „შიში“.

ირინა დონაური სერიოზულად ავად გახდა და დღეს საჭიროა სასწრაფოდ ითამაშოთ.

რასაკვირველია, სპექტაკლის წინ გამოაცხადებენ, რომ ექსპრომტად თამაშობთ, ურეპეტიციოდ. იყავით თეატრში ექვს საათზე. მოვა რეჟისორი, გიჩვენებთ ადგილებს.

პატივისცემით მარჯანიშვილი“.

თითქოს ამ წერილში არაფერია ისეთი, რაც სიბილას ახასიათებდეს, როგორც შემოქმედს. მაგრამ მსახიობებს უყვართ ქვეტექსტებზე ლაპარაკი, და ამ პატარა წერილის ქვეტექსტი გახლავთ ის, რომ კოტე ენდობოდა სიბილას და იმედი ჰქონდა, რომ იგი მოუმზადებელიც კი დულაბივით შეკრულ ანსამბლს არ გამოეთიშებოდა.

დიდად ენერგიული და რაღაც განსაკუთრებული შრომის უნარით დაჯილდოვებული სიბილა თავის მუშაობას მარტო თეატრით არ განსაზღვრავს. იგი ხშირი სტუმარი გახლავთ რადიოკომიტეტისა, როგორც მხატვრული მკითხველი და ინსცენირებათა მონაწილე. ხშირად ვხვდებით სიბილას ესტრადაზე, როგორც მკითხველს და ფელეტონისტს. სამამულო ომის დროს ელენე ფრონტისპირა მებრძოლებისათვის აწყობდა კონცერტებს, რისთვისაც დაჯილდოვებულია მედლებით და 12 საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, კომუნისტმა ელენე სიბილამ უმწიკვლო მუშაობით ხალხის სიყვარული დაიმსახურა.

ა. ბურთიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქეთინოს პირველი წერილი

ქეთევან ხახუტაშვილი

ის გვიან ღამე დაბრუნდა მინდვრიდან. ოთახში მიწისა და ბალახის სურნელი შემოიტანა. მარიამმა თბილი წყალი დაახვედრა შვილს. მაზუთში გასვრილი ხელი დააბანინა და კერძი გაუცხელა.

— შვილო, ბევრი მოხანი? ძალიან დაღლილხარ. შეჭამე და მოისვენე.

— დედი, ობოლა სად არის?

— თავის ოთახშია, რაღაცას მალულაობს. დღეს ვიღაცის წერილი მიიღო და ალბათ პასუხსა სწერს. ძალიან გახარებული კია. იოსებ, ქალს პატრონის თვალყური არ მოსჭარბდება. რა ვიცი, იქნება ვისგან არის, — ჩუმად ჩაილაპარაკა თავსაფარში.

ობოლაო — დაუძახა ძმამ და დედას გულზე მოხვდა.

იმ წყეულმა ომმა დაუობლა შვილები. მამის უნახავად დაიბადა და გაიზარდა გოგონა. შინაურებმა და მეზობლებმა მას მოფერებით ობოლა შეარქვეს და ახლაც ამ სახელს ხშირად ეძახიან ხოლმე სიყვარულით ქეთინოს.

ბიჭმა კერძი მიატოვა, პატარა ოთახში შეიჭყიტა.

ლოგინში წამომჯდარიყო შავგვრემანი გოგონა. თმები გაშლოდა. ხელში სურათი და დაკეცილი წერილი ეჭირა. ღიმმორეული დასცქეროდა სურათს. კითხულობდა, ვინ იცის მერამდენედ. ჩუმად ეცინებოდა. მერე დაკეცა, სურათი შიგ გაახვია და ახლა თვითონ დაიწყო წერა.

— შენ ეი, რას ეშმაკობ, ვისი წერილია, წამაკითხე!

— წაგაკითხო კი არა! შენ შენს ტრაქტორს მოუარე, ჩემთან რა გინდა?

— ჩემ ტრაქტორთან შენ რა გესაქმება. ის ძალიან კარგადაა მოვლილი. წამაკითხე!..

—არა!

— ვისია, არ წამაკითხებ?

— ვისია და ერთი შეყვარებული გამომიჩნდა და იმისია.

— გუბნები წამაკითხე, სანამ ძალით წაგართმევდე.

— წამართმევდე რა, ბალღი გგონივარ თუ? რა შენი საქმეა ჩემი წერილები? განაღა პატარა ვარ, რომ მაკანტროლებ?

— პატარა, თორემ დიდი ჭკუის კოლოფი ხარ! ობოლ, საიდან მიიღე წერილი, არც იმას მეტყვი?

— ქედელი ბიჭისაგან.

— მაპამპულავებ?

— იოსებ, აბა ვინ მომწერს წერილს, თუ არა ჩემისთანა? ლოგინს მიუახლოვდა, ჯანიანი მარჯვენა წაატანა დას. გოგონამ მოასწრო, საბანში ჩაძვრა, მაგრად გაეხვია და მუთაქასავით გაგორდა.

ბიჭმა საბნიანად აიტაცა, მხარზე გაიდო და დედის ლოგინში ჩააგორა. თან ეხვეწებოდა:

— ობოლ, ჩემს სიცოცხლეში შენთვის ხომ ჯერ ხელი არ დამიკარებია, თმები თუ დამიწეწნია და ეგ არი, მაჩვენე წერილი. ამოდენა გოგო გაიზარდე და არ მინდა მწარე რამ დაგახსომდეს ჩემგან. მე შენი ყველაფერი უნდა ვიცოდე, ვისგან ღებულობ წერილებს, წამაკითხე, წამაკითხე, შენი ძმა არა ვარ? არ გიყვარვარ?

გოგონა კისკისებდა, თხელი ტუჩებიდან ბროლივით თეთრი კბილები მოუჩანდა. ირხეოდა შავი კულულები. სიცილმა თვალები დაუნამა. ყელზე შემოეხვია ძმას და...

— რათა ხარ მეტიჩარა?

— ვინ?

ცოტა შეფიქრიანდა, ლოყაზე ტკაცანი არ გამადინოსო და კილო შეიცვალა. ისევ დაუტკბა და კისკისით მიაძახა:

— ის!

— ვინ ის?

— ვინც წერილებს მწერს...

— დედი, ჩემი ბრალი არ იყოს, თუ მივტყიპე.

— აჰა, წაიკითხე, ჩვენში დარჩეს.. მიყვარს და რა ვქნა? თან ხელი უბისაკენ წაიღო.

იოსები გამარჯვებული განზე გადგა, წერილი მაღლა ასწია და მიაძახა:

— ესეც შენ...

ქეთინომაც გამოაჯავრა:

— ეგეც შენ...

— შვილო, ერთი ხმამაღლა წაიკითხე, მეც გავიგონო...

ბიჭი ჩუმად კითხულობდა, თითქოს არავისი არაფერი ესმოდა. ჯერ გაოცდა, შემდეგ თვალებში შუქი ჩაუდგა, გაუნათლდა და გაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცინა. ნეტავ სულ არ წაერთმია, ნატობდა... როგორ გაამახხარავა ამ ერთი ციდა გოგომ.

და წერილი ლოგინზე დაავდო. ქეთინომ ხმამაღლა წაიკითხა:

„— საყვარელო ქეთინო! ვიცი, რომ გაგიკვირდება ეს წერილი. გაზეთებიდან შევიტყვე შენი წარმატება. გამეხარდა, ნამდვილად გამეხარდა. მეც საშუალო სკოლა დავამთავრე თუ არა, მეფრინველეობის ფერმას მივაშურე, გაგეცინება კი და ალბათ იფიქრებ: ჩემსავით ჰყვარებია კვერცხი და ქათამიო. მე ბოლნისში ვცხოვრობ, რაჭისუბნელი ვარ, სახელად ეთერი მქვია, გვარად რეხვიაშვილი ვარ. მართალია, ახლოს არ ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ ძალიან დიდი სურვილი მაქვს თქვენთან მეგობრობისა, მომწერეთ თქვენი გამოცდილების, თქვენი ცხოვრებისა და სურვილების შესახებ. თუ არ გეწყინებათ, გამაგებინეთ, ფიქრობთ თუ არა დაუსწრებლად სწავლის გაგრძელებას.

ქეთინო! გავიგე ახალ, კაპიტალურ საფრინველეში გადასულხარ, გილოცავ, რასაკვირველია. ფრინველისათვის კარგი ბინა ყველაფერს ნიშნავს, ძალიან დიდი მწვანიანი ეზო აქვსო. ვიცი ოთხი ათას ფრთა კვერცხმდებელ დედალს მარტო უვლი. საკვირველია, როგორ ასწრებ, თუნდაც მარტო საწყურებლებისა და ბინის დასუფთავებას. სხვაც არა იყოს რა, მარტომ რამდენიმეჯერ ხომ უნდა შემოუარო საბუდრებს კვერცხის მოსაგროვებლად. ნამდვილად მიკვირს, თუმცა თქვენი ქედელები ამბობენ: — ისეთი მოულლელი ხელფეხის პატრონია, რომ იქნება ორჯერ ოთხიათასსაც მოუაროსო. მინდა ვიცოდე წელს თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე რამდენი ცალი კვერცხის მიღება გაქვს გეგმაში, გეგმა რა სათქმელია, და რამდენ ცალ კვერცხს მიიღებ შენი სიყოჩაღით. ძალიან მაინტერესებს შენი გამოცდილების გაზიარება, არ დაიზარო, მომწერე როგორ აღწევ ამ მაღალ მაჩვენებლებს...

ქეთინო, შარშანწინ გაზეთ „კომუნისტში“ ჩემ შესახებაც დაწერეს, მეც „დამხატეს“... როცა მოწინავე მეფრინველის სამკერდე ნიშანი მომცეს, მაშინაც ნახავდი ჩემს სურათს, მაგრამ მე მაინც გიგზავნი, გთხოვ, წერილთან ერთად შენი ფოტოსურათიც გამომიგზავნო

გწერს ბოლნისელი მეფრინველე ეთერ რეხვიაშვილი“.

# პასუხი ეთერ რეხვიაშვილს

## ქეთევანი მოვიდა კოლმეურნეობაში

ზემოქედელი მეფრინველის ქეთევან ქიმოსტელის ბრიგადამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ამ ორიოდე წლის წინ ქეთევანმა საშუალო სკოლა დაამთავრა და კოლმეურნეობაში სამუშაოდ მივიდა. გამგეობამ კომკავშირული ორგანიზაციის რეკომენდაციით ახალგაზრდა გოგონა მეფრინველეობის ერთ-ერთ ბრიგადაში გაგზავნა მომვლელად. პირველად ამ საქმის გაძღოლა ქეთევანს გაუჭირდა, მაგრამ მოწინავე მეფრინველეთა დახმარებით მალე შეისწავლა ფრინველის კვება-მოვლის წესები, მუყაითი შრომით ბრიგადის წევრების და სოფლის მშრომელთა სიყვარული დაიმსახურა, ამიტომაც იყო, რომ იგი თანასოფლელებმა აირჩიეს რაიონულ საბჭოს დეპუტატად.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში ფართო მოძრაობა დაიწყო ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოების გადიდებისათვის, კოლმეურნეობის გამგეობამ ქეთევანს ცალკე საწარმოო ბრიგადა ჩააბარა.

ეს ნდობა ახალგაზრდა მეფრინველეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა. მან მოსავლელად 4.000 ფრთა კვერცხმდებელი ფრინველი გაიპიროვნა, რომლის მოვლა-პატრონობა არც თუ ისე ადვილი იყო. მაგრამ ქეთევანს გამოცდილებასთან ერთად ამ დარგისადმი სიყვარული ამოძრავებდა. ერთი წლის მუშაობის შედეგად ასობით ათასი კვერცხი და ათობით ცენტნერი ფრინველის ხორცი შემატა საკოლმეურნეო დოვლათს.

აი, როგორ მიაღწია ამ მაჩვენებლებს;

## პერსპექტიული, შემოსავლიანი

ზემოქედის კოლმეურნეობას 1962 წლის 1 იანვრისათვის 14.270 ფრთა ფრინველი ჰყავდა, აქედან კვერცხმდებელი—8.500. ფრინველის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და შვიდწლედის ბოლოსათვის 26.500 ფრთას უნდა მიაღწიოს. ქეთევან ქიმოსტელის საფრინველეში რუსული თეთრი ჯიშის ფრინველია.

მეფრინველეობის პროდუქტების წარმოება ქეთევანის საფრინველეში ყოველთვის მეტია, ვიდრე კოლმეურნეობაში საშუალოდ. შარშან კოლმეურნეობამ თვითეულ კვერცხმდებ დედალზე 104 ცალი კვერცხი მიიღო, ხოლო ქეთევან ქიმოსტელმა — 136 ცალი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 125 ცალისა.

კოლმეურნეობაში მეფრინველეობიდან შემოსავალს გარკვეული ხვედრი უკავია. შარშან მთლიანი შემოსავალი მეფრინველეობის ფერმიდან იყო 38. 498 მანეთი, ხოლო ქეთევანის საფრინველემ, რომელსაც მთელი სულადობის 30 პროცენტი უავს, კოლმეურნეობას შემოსავალი მისცა 18.175 მანეთი (ფულის ახალი კურსით). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქეთევანს კარგად აქვს მოწყობილი ფრინველის ხორცის წარმოება. მარტო შარშან რეალიზებული იქნა 5.900 კილოგრამი ფრინველის ხორცი. ქეთევანთან ერთი ცენტნერი ფრინველის ხორცის თვითღირებულება 50 პროცენტით ნაკლებია კოლმეურნეობაში საშუალო თვითღირებულებასთან შედარებით.

## მოვლილი ფრინველი შრომას ანაზღაურებს

მოვლილი ფრინველი შრომას ანაზღაურებს და დიდძალ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას. სწორედ ამიტომ არის, რომ ქეთევან ქიმოსტელს თავის საფრინველეში კარგად აქვს მოწყობილი ფრინველის შენახვის ორგანიზაცია. უპირველესად, ფრინველის სადგომი აშენებულია ქარისაგან დაცულ ადგილზე, სამხრეთის დაქანებით. ფერმის პირა ნაკვეთი შემოღობილია, დათესილია ბალახი ფრინველის მწვანე საკვებით უზრუნველყოფისათვის, გარდა ამისა, ცალკეა გამოყოფილი ფრინველის სეირანი. ტერიტორიაზე შეყვანილია წყალი.

ქეთევანი მთავარ ყურადღებას აქცევს ფრინველის განახლების საქმეს, რომელიც ძირითადად სექტემბერ-ოქტომბერში წარმოებს მოზარდი სულადობის ხარჯზე. ძველი ფრინველის წუნდება ხდება კვერცხდების დამთავრების პერიოდში და განგურის დაწყებისას. ზამთრის პერიოდში მთავარი ყურადღება ექცევა საფრინველეების დათბუნებას, იმ ანგარიშით, რომ ფრინველი იყოს მშრალ მდგომარეობაში შესაფერისი განიავებით. საფრინველე კაპიტალურ შენობაშია. კარგადაა მოწყობილი ორმხრივი დაქანების ქანდარები, კვერცხსადები საბუდრები, საკვებურები, საწყურებლები და სხვა. თოვლიანი ზამთრის პერიოდში ფრინველის სეირანი ყოველთვის გაწმენდილია.

მოწინავე მეფრინველე მთავარ ყურადღებას აქცევს ფრინველის კვებას, რომელიც დილით იწყება. დღის ბოლომდე გამოკვება 5-6-ჯერ სწარმოებს საშუალოდ პროდუქტიულ თითო ფრინველზე 140-150 გრამი საკვები ერთეულის მიცემით.

ფრინველი ძირითადად იკვებება მარცვლეულით, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს ცილას, ეს კი საბოლოო ანგარიშით მოქმედობს კვერცხდებაზე. საკვებში ამ დანაკლისის შესავსებად ქეთევანი უხვად იყენებს კოპტონს, პარკოსნების მარცვალს, ქატოს, ხორცს და მოხდილ რძეს.

მინერალური ნივთიერებების ნაკლებობაც სწრაფად სცემს კვერცხმდებლობას, რადგან ფრინველს არ გააჩნია ნაჭუჭის შექმნისათვის საჭირო ნივთიერებები. ამის თავიდან აცილების მიზნით ქეთევანი ფრინველისათვის იყენებს ჩამქრალ კირს (ულუფაში 1,5-2 პროცენტს). იგი ხმარობს აგრეთვე ძირხვენეულს, ვიტამინოვანი თივის ფქვილს და სხვა. მთავარი ის არის რომ ფრინველის დღიური ულუფა შედგება მრავალფეროვანი საკვებისაგან, ხშირად 6-8 სახის საკვებისაგანაც.

ასეთი ღონისძიებების გატარებით რაიონის მეფრინველეთა შორის ქეთევანმა პირველი ადგილი დაიკავა.

შ. შეითნიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰიროსიმის შთაბეჭდილებები



ატომური ბომბით დაღუპულ ბავშვთა ქანდაკება

ჰიროსიმას ვოგზალი. ავტობუსით პირდაპირ ქალაქის დასათვალიერებლად მივემგზავრებით.

უპირველეს ყოვლისა, ვეწვიეთ ყველაზე დიდ და ლამაზ პარკს „ჰიჯიამას“. იგი მთაზეა გაშენებული და ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ამ პარკიდან შესანიშნავად მოჩანს მთელი ქალაქი, რომელსაც სამხრეთიდან ეკვრის ჰიროსიმას გუბე, ხოლო სამი დანარჩენი მხრიდან შემოფარგლულია მეჩხერი, შერეული ტყით დაფარული საშუალო სიმაღლის მთებით.

ქალაქი დასერილია განიერი არხებით, რომლებზეც მრავლადაა ხიდები. ქალაქში შენობების სიმჭიდროვეა, მათი არქიტექტურა შერეულია, არის იაპონური, მოდერნისტული და ჩვეულებრივი, ევროპული სტილის შენობები.

როგორც ცნობილია, 1945 წლის აგვისტოში ამერიკელებმა ჰიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდეს.

ბომბი ჩამოვარდა ქალაქის ცენტრში და ქალაქის უდიდესი ნაწილი მტვრად აქცია. ხანძარი მძვინვარებდა რვა საათს, ცეცხლის ტემპერატურა 3. 600 გრადუსს აღწევდა, დაიღუპა 260.000 ადამიანი, დანარჩენები კი დაავადდნენ გამოსხივებით და სიდამწვრით.

ჰიროსიმა, იაპონიის ინდუსტრიისა და კულტურის ეს უდიდესი ცენტრი, ერთი ხელის მოსმით ნაცარ-ტუტად იქცა, არ გადარჩენილა არაფერი, გარდა რამოდენიმე შენობის ჩონჩხისა, რომელთა შორის არის ინდუსტრიული მრეწველობის სახლის ჩონჩხიც. ამ სახლში ყოფილა უზარმაზარი დარბაზი ინდუსტრიის ნაწარმთა საჩვენებლად თუ გამოსაფენად. ქალაქის აღდგენის დროს ეს ერთი ჩონჩხი არ აუღიათ. იგი შემოუნახავთ, როგორც კატასტროფის რელიკვია და „ატომის სახლს“ უწოდებენ. იგი ქალაქის ცენტრში გამავალი არხის ნაპირზეა, მის მახლობლად, არხის მეორე მხარეზე კი გაშენებულია ეგრეთწოდებული „მშვიდობის პარკი“. ამ პარკში დგას „მშვიდობის მემორიალური მუზეუმი“, — სადაც გამოფენილია დაბომბვის მრავალნაირი სურათები და რელიკვიები. აქ არის გულშემზარავი სურათები და მაკეტები დამწვარ-დასახიჩრებული ადამიანებისა: დამწვარი დედა, გულში ჩაკრულ შვილთან შედუღებული; მეორე დედას ბავშვი ფეხებზე შემოხვევია და ისე შემწვარან; სიმწრისაგან უცნაურად დაგრეხილი ჩონჩხები შემოფლეთილი ტანსაცმლით. იქვეა ბომბის აფეთქების სურათი —სქელ, შავ კვამლში გახვეული ალის უზარმაზარი სვეტი, რომლის სიმაღლე ცას სწვდება, შემდეგ გამოსხივებით დაავადებულთა სხვადასხვა სახის სიმახინჯე, ვნახეთ დაფერფლილი ქალაქის მაკეტი, სადაც მხოლოდ და მხოლოდ 7 სახლის ნანგრევია, დანარჩენი ყველაფერი მტვრად არის ქცეული. მაკეტის ფართობი წრიულია, ვინაიდან აფეთქებას უმოქმედია გარკვეული სიდიდის რადიუსით.

მუზეუმის წინ ოთხკუთხა კვარცხლბეკზე დგას ქვის ძეგლი — დედას ერთი შვილი ცალი ხელით მიუკრავს, მეორესათვის მეორე ხელი ჩაუკიდებია და გარბის წელში მოხრილი.

მუზეუმის პირდაპირ დაახლოებით ასიოდე მეტრის მანძილზე, იმავე „მშვიდობის პარკში“ დგას დაბომბვის მსხვერპლთა ძეგლი — ბეტონის კვადრატული კვარცხლბეკის ცენტრში დევს ქვის ოთხკუთხა ლოდი, რომელიც გადახურულია ნალისებური რკინა-ბეტონის თაღით. ლოდის თაღის ქვემოდან მოწყობილია განათება. ეს განათება ისეთ სურათს ჰქმნის, გეგონებათ საფლავს ცისარტყელა დადგომიაო. აქ მუდამ ცოცხალი ყვავილების თაიგულებია დალაგებული.

ძეგლს გაკეთებული აქვს შემდეგი წარწერა: „იძინეთ მშვიდად, ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ეს ისევ განმეორდეს“.



მშვიდობის მემორიალური მუზეუმი

იაპონელი ხალხის ეს ფიცი იმდენად ამაღელვებელია, რომ თმა ყალყზე გიდგებათ, ენა გერთმევათ, ფეხისგულები გეწვით, დგეხართ თავჩაღუნული და დუმილით გამოხატავთ იმ არნახული, არგაგონილი, უსაშინელესი უბედურების განცდას.

ამ ძეგლთან 100-150 მეტრის მოშორებით მაღალი კონუსის მსგავსი მეორე ძეგლი დგას. კონუსის წვერზე დგას ბავშვი, რომელსაც თავზე ადევს წვრილი ლითონისაგან შეკრული გაურკვეველი ფორმის ფიგურა, კონუსის კედელზე მიკრულია ორი ბავშვის ქანდაკება, რომელთაც თავზე წერო აზით. კონუსის ქვედა ნახევარი სამფეხიანია და მის ცენტრში ჰკიდია ქაღალდებისაგან გაკეთებული პატარა წეროების წნული.

ძეგლის შესახებ შემდეგი გვიამბეს:

ერთ გოგონას, რომელიც გამოსხივებით დაავადებულა, ძალიან ეშინოდა სიკვდილის. მას უთხრეს, რომ მორჩებოდა, თუ ქაღალდის 1.000 წეროს გააკეთებდა. საწყალი ბავშვი დიდი მონდომებით შეუდგა წეროების კეთებას. ბავშვს სხვებიც ეხმარებოდნენ, მაგრამ ეს დახმარება საკმარისი არ აღმოჩნდა. როდესაც ეს იაპონელმა ბავშვებმა გაიგეს, ყველამ წეროების კეთება დაიწყო და დაავადებულ გოგონას უგზავნიდნენ ხიროსიმაში, მაგრამ მან ველარ იცოცხლა 1.000 წეროს დაგროვებამდე. მაშინ იაპონიის ბავშვებმა შეაგროვეს ფული და ზემოხსენებული ძეგლი დაუდგეს ატომური ბომბით დაღუპულ ბავშვებს.

ატომის ბომბის აფეთქების ადგილზე გაშენებული „მშვიდობის პარკი“, მასში თავმოყრილი მემორიალური შენობები და ძეგლები მეტად მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებენ. ხიროსიმაში ყოფნის პერიოდში გულდამძიმებული დავდიოდი და, მართალი გითხრათ მიკვირდა, რომ იქ ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, რომ ხალხს შეეძლო სიცილი, გართობა და მხიარულება.

დაბომბვის შემდეგ ხიროსიმა სწრაფად აღუდგენიათ. მის აღდგენაში მთელ იაპონიას მიუღია მონაწილეობა.

ქალაქის მთავარი ქუჩები განიერი და კარგი ნაკეთებია, ამ მხრივ ხიროსიმას ქუჩები იაპონიის ბევრი დიდი ქალაქის ქუჩებს სჯობს, შეიძლება ითქვას ტოკიოს ქუჩებსაც კი.

საღამოს სასტუმროში სსრ კავშირ-იაპონიის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლები გვესტუმრნენ. ამ საზოგადოებას ხიროსიმაში 130 წევრი ჰყავს.

ხიროსიმელები დიდი ხალისით გაჩვენებენ თავიანთ ახალ ქალაქს, რომელიც აღდგენის შემდეგ კიდევ უფრო უკეთესი გახდა, რისთვისაც ისინი თავდადებულად მუშაობდნენ.

ხიროსიმელები ამაყობენ თავიანთი მიღწევებით, მაგრამ ერთი წუთითაც არ ივიწყებენ იმ უბედურებას, რაც მათ თავს დაატყდათ 1945 წელს და მთელი შესაძლებლობით იბრძვიან ატომური იარაღის აკრძალვისათვის. ხიროსიმელებს თავიანთ ხმას უერთებენ მთელი პლანეტის კეთილი ნების ადამიანები, დედები, რომელთაც არ სურთ გამეორდეს ხიროსიმას შემაზრზენი ისტორია.

თამარ ცაგარელი,

ინჟინერი.







ქალაქის ხედი

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## რა ზიანი მოაქვს ბავშვის განებივრებას

ოჯახს საბჭოთა სახელმწიფოში დიდი და საპატიო როლი აკისრია. ოჯახში ეყრება საფუძველი კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბავშვებზე ოჯახის აღმზრდელობითი გავლენა სულ უფრო ორგანულად უნდა ეხამებოდეს მათს საზოგადოებრივ აღზრდას. ადრეულ ბავშვობის პერიოდიდან იწყებს ფორმირებას ადამიანის ხასიათი, გრძნობები, აზრები, გამომუშავდება ესა თუ ის ჩვევა. ყოველ მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ ის ზრდის შვილს არა მხოლოდ თავისი მშობლიური სიხარულისათვის, არამედ მისი ხელმძღვანელობით იზრდება საზოგადოების წევრი, საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე, მომავალი მოღვაწე, კომუნიზმის აქტიური მშენებელი.

ბუნებრივია, რომ ყოველ მშობელს უყვარს თავისი ბავშვი, ცდილობს არ მოაკლოს ალერსი, მზრუნველობა, კვება, ჩაცმა-დახურვა, სათამაშოები, ჰაერზე გასეირნება, სასოებით მოელის საბავშვო ბაღში მის მიყვანას. შემდეგ სკოლა, ჩანთა, წიგნები, ფორმის ტანსაცმელი —მშობლის პირველი სიხარულია! დიახ! ყველაფერი ეს ჭეშმარიტად სასიხარულოა.

ბავშვი ოჯახში უნდა გრძნობდეს მშობლების მზრუნველობას, მათ გულისხმიერებას, პატივისცემას, ეს აუცილებელია, მაგრამ აქ ზომიერება, ტაქტია საჭირო. სიყვარული და მზრუნველობა უნდა იყოს შეხამებული ზომიერ მომთხოვნელობასთან. ის არ უნდა გადაიზარდოს ბავშვის განებივრება-ფუფუნებაში. სამწუხაროდ, ზოგჯერ სწორედ ასე ხდება; მშობელი გადამეტებით ეფერება ბავშვს, ანებივრებს, ასათუთებს, არ აძლევს საშუალებას დამოუკიდებელი ნაბიჯი გადადგას, თავისუფლად იმოქმედოს, აქტიობა გამოიჩინოს, ჩაის ლოგინში მიართმევს, უკვე მოზრდილს, ტანზე თვითონ აცმევს, ბავშვი სკოლაში მიდის, ჩანთა მოხუც ბებიას მიაქვს.

ზოგჯერ მშობელი ბავშვის ყოველ სურვილს, მის ყოველ კაპრიზს და მოთხოვნას ასრულებს, თუნდაც ის მეტად ახირებული, მიზანშეუწონელი და საზიანოც იყოს. მშობელი ამას ბავშვისადმი უსაზღვრო სიყვარულით აკეთებს და ვერ ამჩნევს, რომ მისი საყვარელი არსება მახინჯდება, ნებივრდება, ყოყოჩა და თავხედი ხდება; ბავშვი ეჩვევა მბრძანებლობას, მასში ვითარდება ეგოისტური გრძნობები. ზოგჯერ III-IV კლასის მოსწავლე დედას ან ბებიას ავალებს ფეხსაცმელი ჩააცვას, ბრძანების ტონით მიმართავს უფროსებს მოუტანონ წყალი, თავის თავს ყველაზე მაღლა აყენებს ოჯახში, მისი სურვილების დაკმაყოფილებას უპირველეს საქმედ თვლის, არ უწევს ანგარიშს ოჯახის საერთო საჭიროებას. ასე გაზრდილი ბავშვი ცუდ საქციელს ამჟღავნებს სკოლაში, ვერ ეგუება თანატოლებს, ბავშვთა კოლექტივს, ვერ იტანს მასწავლებლის შენიშვნას, იბუტება, ჯიუტობს.

ცხოვრებამ მრავალგზის დაასაბუთა, რომ განებივრებულად და ფუფუნებაში გაზრდილი ადამიანები ცხოვრებაში უხეშნი და ქედმაღლები, ამავე დროს უსუსურნი, მხდალნი და უმწეონი არიან.

დიდი რუსი მოაზროვნე ბესარიონ ბელინსკი ამბობდა, — „ზრდით რა ბავშვს, თქვენ ზრუნავთ მომავალზე, ამზადებთ მდიდარ მოსავალს; ნუ ჩაყრით ხნულში თოფის წამალს, რომელიც აგაფეთქებთ. დათესეთ ამ მიწაზე კეთილშობილი მარცვალი, ის ბარაქიან ნაყოფს მოიტანს“-ო. განებივრებული გაზრდა სწორედ იმ თოფის წამალს წარმოადგენს, რომელიც სიცოცხლის მთელ მანძილზე ინარჩუნებს აფეთქების ძალას.

ბავშვის აღზრდა ოჯახში იწყება მისი ცხოვრების პირველი დღეებიდანვე. ახალშობილ ბავშვს რომ გარკვეულ საათზე კვებას და ძილს მიაჩვევს დედა, ეს უკვე სწორი აღზრდის დასაწყისია. აქედან უვითარდება ბავშვს ელემენტალური ჩვევები, რომლებიც ზრდასთან ერთად თანდათანობით ყალიბდება.

განებივრებას თავიდან რომ მოვუსპოთ საფუძველი, აუცილებელია ბავშვს დავუწესოთ მტკიცე რეჟიმი და დაბეჯითებით, სისტემატურად მოვთხოვოთ მისი შესრულება. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი დავალების ტონი კატეგორიული იყოს და ეჭვს არ იწვევდეს მისი შესრულების აუცილებლობა. დილით ადგომის, მეცადინეობის, დასვენების, გართობის თუ დაძინების დაწესებული დრო უეჭველად უნდა სრულდებოდეს. ეს ჩვევად, ბავშვის ვალდებულებად უნდა იქცეს ოჯახში. გეგმაშეწონილი რეჟიმის დანერგვამ შეიძლება მშობლის ხანგრძლივი, სისტემატური, დაჟინებითი შრომა მოითხოვოს, მაგრამ როგორც პრაქტიკამ მრავალგზის დაამტკიცა, საოჯახო რეჟიმი დიდ მაორგანიზებელ გავლენას ახდენს ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

ბავშვის ხასიათის დადებითი თვისებების აღზრდაში შრომას უდიდესი როლი მიეკუთვნება. შრომითი აღზრდა ძირითადი ამოცანაა საბჭოთა საზოგადოებაში. ის განპირობებულია ჩვენი აღმავალი ცხოვრების ყოველდღიური მოთხოვნილებით. სწორედ შრომა წარმოშობს გმირებს, ახდენს სასწაულებს, იმორჩილებს კოსმოსს, სტიქიას, დოვლათით ავსებს ჩვენს სამშობლოს. „აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში, —ნათქვამია პარტიის პროგრამაში, — პარტია აყენებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებას.“

სულ მცირე ასაკიდან უნდა შევაჩვიოთ ბავშვი მისთვის დასაძლევ შრომას, პირველ რიგში, ხელპირის დაბანას, კბილების მოვლას, საკუთარი ტანსაცმელ-ფეხსაცმლის დასუფთავებას, ლოგინის დალაგებას, სამეცადინო ადგილის წესრიგზე მოყვანას, ოთახის ყვავილების მოვლას.

ნუ ჩავთვლით უბრალო, წვრილმან საქმედ, თუ ბავშვმა დღეს თავისი ლოგინი არ დაალაგა ან ტანსაცმელი მიჩენილ ადგილზე არ დაჰკიდა ან კიდევ სამეცადინო ადგილი წესრიგში არ მოიყვანა. ეს წვრილმანი არ არის. აღზრდაში წვრილმანებიც გარკვეულ როლს ასრულებენ. ბავშვის მიერ დავალების შესრულება უეჭველად უნდა შევამოწმოთ. ამ გზით თავიდან ავიცდენთ ბავშვის განებივრებას.

ზოგჯერ ბავშვი თავნებობს, უდიერად ეპყრობა თავის ტანსაცმელს, საოჯახო ნივთებს, ჭურჭელს, არაფრად არ უღირს გატეხოს ჭურჭელი, დაამტვრიოს, გააფუჭოს ავეჯი.

საჭიროა სულ მცირე ასაკიდან ვებრძოლოთ ამ მავნე ჩვევებს, ჩავუნერგოთ ბავშვს, რომ ეს ნივთები ოჯახის კოლექტივის საჭიროებას წარმოადგენს, რომ ის თვითონ ამ კოლექტივის წევრია და უნდა გაუფრთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილდეს საოჯახო ნივთებს. შეიძლება გაიაროს ისე, რომ არ წააქციოს სკამი, ისადილოს ისე, რომ არ დაღვაროს სუფრაზე, არ დალაქოს ტანსაცმელი და ა. შ.

მშობლებმა პირადი მაგალითით უნდა შთაუნერგონ და განუვითარონ ბავშვს ისეთი კეთილშობილური თვისებები, როგორიცაა პატიოსნება, სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე, უბრალოება, თავმდაბლობა, ნამდვილი მეგობრობის გრძნობა.

იმის საუკეთესო ნიმუშს, თუ როგორი უნდა იყოს მამა და როგორ უნდა ზრდიდეს ის თავის ბავშვებს, წარმოადგენს მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის მაგალითი.

ლიბკნეხტი მარქსზე მოგონებებში სწერს: „როგორც საერთოდ ყველა ძლიერ და ჯანსაღ ადამიანს, მარქსს განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები. ის იყო არა მარტო მოსიყვარულე მამა, რომელსაც შეეძლო მთელი საათები გაეტარებინა ბავშვივით თავის ბავშვებთან, არამედ მას ანდამატივით იზიდავდა სხვისი ბავშვებიც, რომლებიც მას ხვდებოდნენ. განსაკუთრებით, თუ ისინი უმწეო და ღატაკნი იყვნენ. უნდა გენახათ ის ბავშვებით გარშემორტყმული, რათა სრული წარმოდგენა გქონდეთ იმაზე, რა გულთბილობისა და ბავშვური სისადავის პატრონი იყო მეცნიერების ეს ბუმბერაზი“.

ოჯახი განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოზარდის ზნეობის ჩამოყალიბების საქმეში. დედ-მამისა და ახლომყოფი უფროსებისაგან იძენს ბავშვი მთელ რიგ ჩვევებს. ერთ შემთხვევაში დადებითს, ხოლო მეორე შემთხვევაში უარყოფითს.

ერთი პატარა მაგალითიც:

დედამ ათი წლის გოგონა ზეთის საყიდლად გაგზავნა, გოგონამ დავალება შეასრულა. ცოტა ხანში მეზობელი ქალი შემოვიდა და დედას ცოტაოდენი ზეთი თხოვა, დედამ ის უარით გაისტუმრა. როცა მეზობელი გავიდა, გოგონა გაკვირვებული ეკითხება დედას: დედა! შენ იცრუე? დედას კი არ ჰქონდა გააზრებული ამ საქციელით რა დიდი ზიანი მიაყენა შვილის აღზრდას, დედის, მშობლის ავტორიტეტს.

სწორედ მსგავს შემთხვევაზე ამბობდა ანტონ სიმონის ძე მაკარენკო: „არ გეგონოთ, რომ თქვენ ზრდით ბავშვს მხოლოდ მაშინ, როცა მას ელაპარაკებით ან ასწავლით ან უბრძანებთ. თქვენ ზრდით ბავშვს თქვენი ცხოვრების ყოველ მომენტში, მაშინაც კი, როცა თქვენ სახლში არა ხართ. როგორ იცვამთ, როგორ ელაპარაკებით ადამიანებს ან სხვაზე როგორ ლაპარაკობთ, როგორ ხარობთ, როგორ განიცდით მწუხარებას, როგორ ეპყრობით მეგობრებს ან მტრებს, როგორ იცინით, როგორ კითხულობთ გაზეთს — ყველაფერ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდისათვის“.

აღზრდის საქმეში არც ზედმეტი სიმკაცრეა დასაშვები და არც ზედმეტი ლმობიერება. თავდაჭერილობა, სიდინჯე, ზომიერი მომთხოვნელობა, — აი რა არის საჭირო.

სოციალისტური საზოგადოების ადამიანი დიდი კულტურის, ფართო ჰორიზონტის, ნათელი გონების და მტკიცე ნებისყოფის ადამიანია. რომელიც სასწაულებს ახდენს ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა თუ შახტებში, ადამიანი, რომლის უმაგალითო გმირობამ კოსმოსი დაიპყრო და მთელი მსოფლიო შეძრა.

ჩვენში ბევრნი არიან შესანიშნავი მშობლები, უბრალო საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც აღზარდეს და საზოგადოებას მისცეს ღირსეული მოქალაქენი, ისინი, ვისაც ასე მძლავრად მიჰყავს წინ ჩვენი მეცნიერების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის ესა თუ ის დარგი.

ქართული საბჭოთა ოჯახები კვლავაც აღუზრდიან დედა-სამშობლოს ღირსეულ შვილებს, რომლებშიც ჰარმონიულად იქნება შეზავებული „სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

**მარიამ ბურჭულაძე,**

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

# რატომ იწყებს ბავშვი ენაბლუობას

ჟურნალ „საბჭოთა ქალის“ 1961 წლის № 6-ში გამოქვეყნებულ გ. კუპრაშვილის სტატიაში — „როგორი ლექსი ვასწავლოთ ბავშვს“, ავტორი მშობლებისათვის ბევრ საინტერესო და სასარგებლო რჩევას იძლევა, მაგრამ ამ სასარგებლო მითითებათა შორის არის ერთი, რომელსაც არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. ამ მითითების შინაარსი არაა ავტორის მიერ შეთხზული. სამწუხაროდ, იგი საკმაოდ გავრცელებული აზრია. ანალოგიურ რჩევას ამ საკითხზე ხშირად მოისმენს მშობელი კიდევ უფრო ავტორიტეტული პირებისაგან.

აღნიშნული წერილის ავტორი ბავშვის მხატვრული გემოვნების ამაღლების, სწორი, მკაფიო და გამომსახველი მეტყველების უნარის განვითარების საშუალებებზე მიუთითებს და სხვათა შორის წერს: „პატარებს ჩვევიათ აგრეთვე, წაბაძულობის ან აკვიატებული სიჯიუტის შედეგად, სიტყვის დასაწყისი მარცვლის რამდენჯერმე გამეორება, სხეულის რომელიმე ნაწილის გაუჩერებელი ცქმუტვა. ასეთ რამეს როგორც კი შეამჩნევთ, ბავშვი მაშინვე დატუქსეთ, ყოველი ღონე იხმარეთ, რომ ამას გადაეჩვიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შეიძლება ჩვეულებად გადაექცეს მას“-ო.

სიტყვის დასაწყისი მარცვლის რამდენჯერმე გამეორება, რომელსაც ზოგიერთი მცირეწლოვანი ბავშვის ლაპარაკში ვხვდებით, არაა უბრალო „აკვიატებული სიჯიუტის“ და ე. წ. ნებისმიერი წაბაძულობის შედეგი. იგი გაცილებით უფრო სერიოზული ნაკლია. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ბავშვის დატუქსვა და აშკარა ბრძოლა ამის გადაჩვევისათვის მის მეტყველებას კი არ გამოასწორებს, პირიქით, მეტყველების დროებით დარღვეულ წონასწორობას კიდევ უფრო დაარღვევს და გააღრმავებს.

ახლობლების სწორედ ამგვარი „მონდომება“ და უმართებულო დამოკიდებულება აქცევს მას მეტყველების მძიმე ნევროზად, ანუ ენაბლუობად. ამგვარი მეტყველება და სხეულის რომელიმე ნაწილის ჭარბი მოძრაობები არაა უბრალოდ ცუდი ჩვეულება, არც მითითებით შეიძლება მისი შეწყვეტა-გადაჩვევა. როდესაც ბავშვს სპეციალურად შევუქმნით ისეთ პირობებს, რომ მას შეეძლება თავისუფლად, უბორძიკოდ ლაპარაკი, ეს დამატებითი მოძრაობები თავისთავად გაქრება.

ენაბლუობა მეტყველების მეტად სერიოზული და თან საკმაოდ გავრცელებული ნაკლია, რომელიც უმთავრესად ბავშვებს მცირე ასაკში ეწყებათ, მეტწილად 2-დან 5 წლამდე. მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ის ენას ამოიდგამს, დაიწყებს ლაპარაკს — დამოუკიდებლად სიტყვების წარმოთქმას და აზრის გამოთქმას.

გარეგნულად ენაბლუობა შემდეგნაირად გამოიხატება: ერთ შემთხვევაში ბავშვი ლაპარაკის დროს იწყებს სიტყვის დასაწყისი ბგერის ან მარცვლის რამდენჯერმე გამეორებას — ააааრ მინდა, დდდდედა და სხვა. ესაა კლონური ფორმის ენაბლუობა. მეორე შემთხვევაში ბავშვი სიტყვის პირველი ბგერის ან მარცვლის წარმოთქმის დროს შეჩერდება, იძაბება, აკეთებს შესამჩნევ პაუზას და მხოლოდ ერთგვარი ძალდატანების შედეგად ახერხებს სიტყვის დამთავრებას. მაგალითად, ასე: დ-დედა, მ-ინდა ბ-ურთი და სხვა. ესაა ტონური ფორმის ენაბლუობა.

მეტყველება არაა მხოლოდ საწარმოთქმო ორგანოების იზოლირებული მოქმედება, იგი მთლიანი ორგანიზმის მდგომარეობაა; ამის გამოა, რომ როდესაც ბავშვს ეწყება წარმოთქმის გაძნელება — ენაბლუობს, ამაში ერთვება მთელი ორგანიზმი: ბავშვი მთელი სხეულით იძაბება, სუნთქვა ეკვრის, ეწყება სახის კუნთების დამატებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპაზმური მოძრაობები, ხელების ან ფეხების მოუსვენარი ამოქმედება და სხვა.

ბგერებისა და მარცვლების რამდენჯერმე განმეორებას ან მათზე შეჩერებას იწვევს საწარმოთქმო ორგანოების კუნთების სპაზმები. სპაზმის წარმოქმნა სრულებით არ არის დამოკიდებული ბავშვის ნებასურვილზე, ამიტომ არ შეიძლება ამას დატუქსვით გადავაჩვიოთ. პირველ ხანებში ეს სპაზმური მოძრაობები შედარებით სუსტად არის გამოხატული და იშვიათად ვლინდება, მაგრამ შემდეგში იგი თანდათან ძლიერდება და ხშირდება. უნდა ითქვას, რომ ამაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს უფროსების ენაბლუობისადმი უმართებულო დამოკიდებულება.

ენაბლუობის გამომწვევი მიზეზები მრავალგვარია: ბავშვის ნერვული მდგომარეობა, ინფექციურ დაავადებათა გადატანა, მეტყველების დაგვიანებული განვითარება, შეშინება, მშობლებს შორის კომფლიქტი, ბავშვის მეტყველების ზედმეტად დატვირთვა, მშობლების და ახლობლების ნაკლოვანი მეტყველება — ენაბლუობა, ენაჩლუნგობა, დაძაბული, ნერვული და ზედმეტად ჩქარი მეტყველება და სხვ.

ენაბლუობა არ არის თანდაყოლილი ნაკლი იმ გაგებით, თითქოს ბავშვი ენაბლუობას დაბადების დღიდან უნდა იწყებდეს. ასე აქვს იგი წარმოდგენილი მშობლების უმრავლესობას. გაოცებას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ მშვენივრად მოლაპარაკე ბავშვი, რომელსაც უთქმელი არაფერი დარჩა, ერთ მშვენიერ დღეს იწყებს გაჭირვებით ლაპარაკს, ბორძიკს.

როგორადაც კარგად არ უნდა ლაპარაკობდეს ამ ასაკის ბავშვი, მისი მეტყველების განვითარება — სამეტყველო ორგანოების უნარი ზრდადასრულებული არაა. მზარდი, განვითარების პროცესში მყოფი, ჯერ კიდევ სუსტი მექანიზმის დაზიანება, მისი მოქმედების წონასწორობის დარღვევა ძნელი არ არის და მას იწვევს რომელიმე ზემოთ დასახელებული მიზეზთაგანი.

კიდურების გადაჭარბებული მოძრაობები, — „სხეულის რომელიმე ნაწილის გაუჩერებელი ცქმუტვა“ შეიძლება ბავშვს შევამჩნიოთ მაშინაც, როდესაც იგი, მართალია, არ ენაბლუობს, მაგრამ აზრის თავისუფლად გამოთქმას ჯერ კიდევ ვერ ახერხებს. რაიმე აზრის გამოსათქმელად საჭირო სიტყვები თავისთავად, მექანიკურად კი არ ლაგდება მის ცნობიერებაში, არამედ ამისათვის მას სჭირდება ერთგვარი ძალდატანება, ღონის მოკრეფა სათანადო სიტყვების მოსაგონებლად და მათი დალაგება საჭირო აზრის გამოსათქმელად. ესეც მზარდი, განვითარების პროცესში მყოფი სამეტყველო მექანიზმების თვისებაა. წარმოთქმის ამგვარი გაჭირვება მეტწილად შეინიშნება ისეთ ბავშვებში, რომელთაც ენის ამოდგმა დააგვიანდა, ლაპარაკი დაიწყეს მოგვიანებით.

როდესაც ბავშვის ლექსიკონი იმდენად გამდიდრდება, რომ მისი წარმოთქმა გახდება ავტომატური, თავისუფალი ყოველგვარი ძალდატანებისა და მეხსიერების დაძაბულობისაგან, გაქრება კიდურების ნერვული, დაძაბული, ჭარბი მოძრაობებიც, მანამდე კი ბავშვს სჭირდება ფრთხილი, გონივრული დახმარება.

ზოგჯერ ახლობლები შეამჩნევენ, რომ ბავშვი აზრის გადმოცემისას ერთგვარ სიძნელეს განიცდის — იწყებს სიტყვას, მაგრამ არ ამთავრებს, თითქოს ეძებს იმ სიტყვას, რომელიც მის აზრს უფრო ზუსტად გამოხატავს, ყოყმანობს, ბორძიკობს, ლაპარაკობს სუნთქვაშეკრული და სხვა. ამ შემთხვევაში საჭიროა ბავშვს მივეხმაროთ, მშვიდად ვუკარნახოთ საჭირო სიტყვები და ხშირად წარმოვთქვათ მის მაგივრად, ასეთი დახმარებით ბავშვი იმდიდრებს ლექსიკონს, მიბაძვით იმეორებს უფრო ადვილად, მშვიდად ასრულებს თავის აზრს და აღარ სჭირდება ხელების უმწეო სავსავი.

თუ დახმარების მაგივრად ბავშვს მუდამ ვუკირკიტეთ და მის მეტყველებას მეტი მოთხოვნილება წავუყენეთ, ვიდრე მის სუსტ მზარდ ორგანიზმს შეეძლება, იგი ზედმეტად გადაიტვირთება და შესაძლებელია ენაბლუობა დაიწყოს. მართალია 2-3 წლის ბავშვის ტიტინი მეტად სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ მშობლებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვი უფროსების გასართობად როდია გაჩენილი და ამიტომ იგი პირადი სიამოვნებისათვის ზედმეტად არ უნდა გამოიყენონ.

ენაბლუობის დაწყების პირველ დღეებში მშობლებს ჰგონიათ, რომ ბავშვი ცელქობს, თავს იქცევს ამგვარი ლაპარაკით, თორემ ისე შეუძლია სწორად ლაპარაკი. ამიტომ უშვებენ შეცდომებს, რომლის გამო ბავშვის მეტყველება თანდათან უარესდება. ენაბლუობისათვის ბავშვის დატუქსვა, ყოველ წაბორძიკებაზე შენიშვნის მიცემა, გასწორება, ნათქვამის გამეორება, საჩუქრები სწორი ლაპარაკისათვის, გადაჭარბებული ალერსი, არანორმალური ყურადღება, ტოლებისაგან გამოჯავრება, დაცინვა და ა. შ. დიდი შეცდომაა.

მას შემდეგ, რაც მშობელი დარწმუნდება, რომ ბავშვმა ენაბლუობა დაიწყო, ოჯახში იწყება წუწუნი, ხმამაღალი მსჯელობა. არავის ფიქრად არ მოსდის, რომ საჭირო არ არის ბავშვს ესმოდეს ამგვარი შინაარსის საუბარი. რარიგ პატარაც არ უნდა იყოს ბავშვი, ის მაინც მიხვდება, რომ საუბარი მას შეეხება, რომ მის მეტყველებას რაღაც მოუვიდა, რამაც უფროსები ასე შეაშფოთა.

ამის შემდეგ ბავშვი ცდილობს ილაპარაკოს კარგად—წაუბორძიკებლად. იგი დიდი მონდომებით იწყებს ლაპარაკს და ძაბავს კუნთებს, აკავებს სუნთქვას, რომ არ შეეშალოს და, რამდენადაც მეტად ინდომებს, იმდენად მეტად ენაბლუობს. მონდომება, კუნთების დაძაბვა სპაზმურ მოვლენებს კიდევ მეტად აძლიერებს, ზოგჯერ იწვევს კიდეც. რამდენადაც უფრო მგრძნობიარე ბუნებისაა ბავშვი, უფრო მეტად მოინდომებს კარგად ლაპარაკს და უფრო მეტად შეეშლება — მეტად იენაბლუებს.

ენაბლუ ბავშვს ყველგან და ყოველთვის ერთნაირად როდი უჭირს ლაპარაკი: ნერვიულობის დროს მეტად ენაბლუობს, მშვიდ ნორმალურ პირობებში ბავშვის მეტყველება საგრძნობლად უმჯობესდება — ენაბლუობა თითქმის ქრება და პირიქით.

დაკვირვებული მშობელი ყოველთვის შეამჩნევს, რამ გამოიწვია ბავშვის მეტყველების გაუარესება. და თუ ის შეეცდება ბავშვი დაიცვას მისთვის მავნე, გამაღიზიანებელი პირობებისაგან, შეუქმნის მყუდრო, მშვიდი ცხოვრების პირობებს მანამდე, სანამ ბავშვის მეტყველების განვითარება არ დასრულდება, იგი ბავშვს თავიდან აარიდებს იმ სერიოზულ ნაკლს, რომლისგან განთავისუფლება დაგვიანებით გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მაშინვე, შემჩნევისთანავე.

ლოგოპედი-მეთოდისტი
**ტატიანა უგულავა**

# ხილის კონსერვის დამზადება

ხილი ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელია წელიწადის ყველა დროში. ამიტომ მისი შენახვის სხვადასხვა ხერხია შემუშავებული: გაყინვა, გაგრილება, გახმობა, თავლია ჭურჭელში ხარშვის შედეგად მურაბის, ჯემის, პოვიდლოს, ჟელესა თუ სიროპის დამზადება, აგრეთვე შაქრის სიროპში მოდუღება და სტერილიზაციის მეთოდით დაკონსერვება.

სტერილურად დაკონსერვების საშუალებით ხილი დიდხანს ინახება. სტერილიზაცია ნიშნავს პროდუქტის მოხარშვას არა ნაკლებ 100° ტემპერატურაზე. მაღალი ტემპერატურა მიკრობებს ხოცავს, ჰერმეტულად თავდახურული ჭურჭელი კი მას იცავს ჰაერში არსებული მიკრობების ზემოქმედებისაგან, რომლებიც პროდუქტის ხრწნა-გაფუჭებას იწვევენ.

დაკონსერვება იმითაცაა კარგი, რომ პროდუქტი დიდი რაოდენობით ინარჩუნებს C ვიტამინს.

კომპოტი კონსერვის სახით იმიტომ კი არ ინახება, რომ მასში შაქარია (როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს), არამედ იმიტომ, რომ იგი სტერილიზაციას ექვემდებარება. ამ თვისების გამო კომპოტი უშაქროდაც შეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიძლია დავამზადოთ და ხილს შაქრის სიროპის ნაცვლად ცხელი წყალი ან იმავე ნაყოფის წვენი (ასე მაგ, ალუბლის) დავასხათ. უშაქროდ კომპოტი მთლიანად ინარჩუნებს ხილის ნაზ და სასიამოვნო გემოსა და არომატს.

უშაქრო კომპოტი დიაბეტით დაავადებულთათვის მზადდება სპეციალურად და მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

კონსერვის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული ჭურჭლისა თუ დამხმარე ინვენტარის, აგრეთვე ხელების, ტანსაცმლის და, წარმოიდგინეთ, ოთახის თუ სამზარეულოს სისუფთავეზეც.

დასაკონსერვებლად ლამაზი ფერის, ერთნაირი ზომისა და, რაც მთავარია, ჯანსაღი ხილი უნდა შეარჩიოთ. ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ კონსერვისათვის გადამწიფებული ხილი უვარგისია (ხარშვისას ჩაიშლება).

ხილი ცივი წყლით გარეცხეთ, მერე ყუნწები და თესლები მოაცილეთ. ქილაში რაც შეიძლება მჭიდროდ ჩააწყვეთ. დროდადრო ქილა ფრთხილად შეანჯღრიეთ და ხელის მსუბუქი დაწოლით ხილი შეამჭიდროვეთ, ოღონდ ისე, რომ არ დააზიანოთ. უნდა იცოდეთ, რომ სტერილიზაციისას ხარშვის ზეგავლენით ხილი მოცულობაში 15-20 პროცენტით იკლებს (რადგან მისგან წვენი გამოიყოფა) და თუ ჭურჭელში ხილი ზომიერად არ ჩააწყვეთ, დამზადებულ კონსერვში გაცილებით მეტი წვენი აღმოჩნდება, ვინემ ხილი.

კონსერვი სხვადასხვა ხილისაგან შეიძლება დავამზადოთ. მათი დამზადების წესს აღვწერთ ცალ-ცალკე.

იმის გამო, რომ კომპოტს უმეტესობა შაქრით ამზადებს, პირველ რიგში გაგაცნობთ შაქრის სიროპის დამზადების წესს, რომელსაც დაკონსერვებულ ხილზე დასასხმელად იყენებენ.

**შაქრის სიროპის დამზადება.** გამოზომილი წყალი ქვაბში ჩაასხით და გააცხელეთ, დააყარეთ შაქარი და სუფრის კოვზით ურიეთ, ვიდრე შაქარი არ დადნება. როცა ხსნარი დუღილამდე მივა, სიროპი უკვე მზად გექნებათ.

თუ წყალს ან შაქარს მტვრის ნარევი შეჰყვა, სიროპი მღვრიე გამოგივათ. ასეთ შემთხვევაში სიროპი სუფთა ნარმის ან რამდენიმე ფენად დაკეცილ მარლის ნაჭერში გაწურეთ. თუ არც ამან უშველა, მაშინ სიროპი 50°-მდე შეათბეთ, შიგ წინასწარ კარგად ათქვეფილი კვერცხის ცილა ჩაასხით (4 ლიტრ სიროპზე 1 კვერცხის ცილის მეოთხედი ნაწილი). ცილის ჩასხმის შემდეგ სიროპი ადუღებამდე შეაცხელეთ. ცილა შეიკვრება, ლექისაგან გაწმენდს ხსნარს და ზევით ამოტივტივდება. მოხარშული ცილა ქაფქირით ამოიღეთ, ქაფქირითვე მოაცალეთ სიროპის ზედაპირზე მოგდებული ქაფი. გაგრილების შემდეგ სიროპი ხელმეორედ გაფილტრეთ. ის უსათუოდ თეთრი და გამჭვირვალე გამოვა.

**ჭურჭელი.** კონსერვის შესანახად ყველაზე უკეთესია გამოიყენოთ შუშის ქილა და რკინის მოპრიალებული თავსახური, რომელსაც ქვევიდან აუცილებლად რეზინის რგოლი უნდა ჰქონდეს ამოდებული.

შუშის ქილა იმით არის უკეთესი, რომ კარგად ირეცხება, არ განიცდის პროდუქტის ზეგავლენას, თვით პროდუქტსაც არ აძლევს რაიმე სპეციფიურ გემოს. მისი ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ შედარებით ადვილად ტყდება.

კონსერვის შესანახად უმთავრესად 1/2, 1 და 3-კილოგრამიანი ქილები იხმარება.

ქილა, მისი სახურავი, აგრეთვე ჭურჭელი, რომელშიც პროდუქტის დამუშავება ხდება, სრულიად სუფთა უნდა იყოს.



**ჭურჭლის გარეცხვის წესი.** პირველად ქილა კალციუმის სოდიან (სარეცხი სოდა) თბილ წყალში გარეცხეთ (პროპორცია: 1 ჩაის კოვზი სოდა 1 ლიტრ წყალზე). გარეცხვის შემდეგ სუფთა წყალში გაავლეთ. ქილებს გარშემო ქაღალდები ან ნაჭრები შემოახვიეთ, შემდეგ ცივწყლიან ქვაბში ჩადეთ და აადუღეთ. დუღილის დაწყებიდან 5-10 წუთის შემდეგ ცეცხლიდან ჩამოდგით. ქილები ქვაბიდან მხოლოდ დაკონსერვების წინ ამოიღეთ — იმ ვარაუდით, რომ ჰაერზე დიდხანს არ გააჩეროთ.

ხმარების წინ სახურავები კარგად შეამოწმეთ (ჟანგი ხომ არა აქვს მოდებული, ან გახვრეტილი ხომ არაა სადმე). სახურავებიც გარეცხეთ სოდიან თბილ წყალში, შემდეგ იმავე წესით ადუღეთ ქვაბში (10–15 წუთით) და ისინიც მხოლოდ ხმარების წინ ამოიღეთ ქვაბიდან.



ჭურჭლის გარეცხვის შემდეგ დასაკონსერვებლად გამზადებული ხილი ქილებში ჩააწყვეთ და მდუღარე სიროპი დაასხით ისე, რომ ქილა ძალიან არ გაავსოთ და ქილის ყელი დაახლოებით 2-3 სანტიმეტრის სიმაღლეზე თავისუფალი დატოვოთ. მაშინვე ჩაატარეთ სტერილიზაცია.

**კონსერვის სტერილიზაცია** ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტია კონსერვის დამზადებისას. თუ ის შესაფერისად არ ჩატარდა, მიკრობების ნაწილი ჩარჩება ჭურჭელში და ეს კონსერვის გაფუჭებას გამოიწვევს.

სტერილიზაცია სწორძირიან დიდ ქვაბში უნდა მოახდინოთ. ქვაბის ძირში დაახლოებით იმავე რადიუსის მრგვალი ფორმის, რამდენიმე ადგილას გახვრეტილი მოსქო ფიცარი მოათავსეთ. ქვევიდან ფიცარს რამდენიმე ცალი 3-4 სმ სიმაღლისა და 2 სმ. სისქის ხის ფეხი შეუყენეთ.

ხილითა და სიროპით გამზადებულ ქილებს გარშემო ნაჭერი ან ქაღალდი შემოახვიეთ. ქვაბში მოთავსების შემდეგ ქილებს შუა ხის ტკეჩები ჩადეთ, რომ ქილები ერთმანეთს არ ეხებოდეს. ქილებს სახურავები ოდნავ ღიად დაუტოვეთ. ქვაბში 3/4-ის სიმაღლეზე ფრთხილად ჩაასხით წყალი (წყლის სიმაღლის მომატება არაა რეკომენდებული), ქვაბს მჭიდროდ დაახურეთ თავი და ისე შედგით ნავთქურაზე ან გაზის ქურაზე.

სტერილიზაციისას ერთი რამ უნდა გაითვალისწინოთ: ქვაბში ჩასხმული წყლის ტემპერატურა დაახლოებით ისეთივე უნდა იყოს, როგორც თვით პროდუქტისა. ასე მაგალითად, თუ ქილაში უმი ხილი გექნებათ ჩაწყობილი, სასტერილიზაციო ქვაბშიც ცივი



წყალი უნდა ჩაასხათ უსათუოდ, ხოლო თუ ქილაში დამდუღრული ხილი იქნება მოთავსებული, მაშინ ქვაბში თბილი ან ცხელი წყალი ჩაასხით. ამ წესის დაცვა აუცილებელია მაგარი ნაყოფის სტერილიზაციის დროს.

სტერილიზაცია ორთქლშიც შეიძლება ვაწარმოოთ. ხილითა და სიროპით გამზადებულ ქილებს ამ შემთხვევაშიც ქვაბის ძირზე, ფეხებიან ხის დანადგარზე ათავსებენ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქვაბში ნაკლებ წყალს ასხამენ, იმდენს, რომ დანადგარს ატანდეს და სტერილიზაცია დანადგარის ხვრელებიდან ამოსული ორთქლის მეშვეობით ხდებოდეს. ეს მეთოდი ნაზი ხილის (ხენდრო, ალუბალი) სტერილიზაციისას გამოიყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ ქვაბში წყალი გამოილევა, ორთქლის მისაღებად ცხელი წყალი ჩაუმატეთ. სტერილიზაციის ხანგრძლივობა ქვაბში წყლის ადუღების მომენტიდან უნდა იანგარიშოთ. სტერილიზაციის დამთავრების შემდეგ ქილები ფრთხილად ამოიღეთ ქვაბიდან და იმავე წუთს გერმეტულად დახურეთ თავსახურის დასაცობი ხელის მანქანით. თავდახურული ქილები გადააბრუნეთ და მაგიდაზე თავსახურით დადეთ. თუ მეორე დღეს ნახავთ, რომ რომელიმე ქილიდან თუნდაც ერთმა წვეთმა გამოჟონა, მაშინ ქილას თავი ახადეთ და კომპოტის სტერილიზება განმეორებით მოახდინეთ.

რჩევა: საერთოდ, თუ ქილაში ჩასხმის დროს სიროპი დაგაკლდათ, მაშინვე ცალკე მოადუღეთ და დაამატეთ (პროპორცია: ერთ ჭიქა წყალზე 250-200 გრ შაქარი).

კომპოტებისათვის ჩვენს მიერ ნაკარნახევ შაქრის ნორმას თქვენი გემოვნებით შეგიძლიათ დააკლოთ.

ვინაიდან კომპოტში ხილისგან წვენი გამოიყოფა, სიროპი თხელდება ხოლმე. ამიტომ ხმარების წინ ხილი კოვზით ამოალაგეთ, სიროპს შაქარი დაამატეთ, წამოადუღეთ, გაგრილების შემდეგ კვლავ მოასხით ხილს და სუფრასთან ისე მიიტანეთ.

ხილის დამუშავებისას უჟანგავი დანა, კოვზი და ჭურჭელი იხმარეთ. ჟანგს დასაკონსერვებელ ხილში ვიტამინების დაშლა შეუძლია.

ყველაზე გემრიელი კომპოტი ხენდროს, ალუბლის, თეთრი ბლის, ატმისა და ქლიავისაგან მზადდება.

## ხენდროს კონსერვი

**მასალა:** ხენდრო 2 კგ, წყალი 1 ლიტრი, შაქარი 700–800 გრ. სტერილიზაციის ხანგრძლივობა: 3 კგ-იანი ქილისა — 20 წუთი, 1 კგ-იანი ქილისათვის 10–12 წუთი, ხოლო — 1/2 კგ-იანი ჭურჭლისა 5–8 წუთი.

კომპოტისათვის წვრილი, მაგრამ ფეროვანი და სუფთა ხენდრო შეარჩიეთ, ისეთი, რომ მსუბუქი გარეცხვით შეიძლებოდეს მისი გასუფთავება.

ხენდროს ზევიდან 300-400 გრ. შაქარი დააყარეთ და მომინანქრებულ თასში 3–4 საათით დატოვეთ. დანარჩენი შაქრისაგან სიროპი მოადუღეთ, შიგ კოვზით ფრთხილად ჩააწყეთ შაქარმოყრილი ხენდრო, ჭურჭელი ნავთქურაზე შედგით, სიროპი დუღილამდე მიიყვანეთ და ქვაბი ცეცხლიდან ჩამოდგით. ხენდრო კვლავ კოვზით ფრთხილად ამოიღეთ ცხელი სიროპიდან და მომინანქრებულ თასში ჩააწყეთ. როცა ხენდრო გაგრილდება, გაცივებული სიროპი კვლავ დაასხით ზევიდან და ასეთ მდგომარეობაში მეორე დღემდე დატოვეთ. შემდეგ სიროპიანი ხენდრო ქილაში გადაიტანეთ და სტერილიზაცია მოახდინეთ.

ასეთი მომზადების შედეგად კომპოტში ხენდრო ზევით აღარ ამოტივტივდება და უფრო მკვრივიც იქნება.



## ალუბლის კომპოტი

მასალა: ალუბალი 3 კგ, წყალი 1 ლიტრი, შაქარი 1,200 კგ. სტერილიზაციის ხანგრძლივობა: 1/2 კგ-იანი ქილის — 10-12 წუთი, 1 კგ-იანი ქილის — 15-18 წუთი, 3 კგ-იანი ქილის — 30 წუთი.

კომპოტისათვის შეარჩიეთ ჯანსაღი, მუქწითელი ფერის და წვნიანი ალუბალი. (წვრილი ალუბლის დაკონსერვება არაა რეკომენდებული).

ალუბალი ცივ წყალში გარეცხეთ, მოაცილეთ ყუნწები, ჩააწყეთ ქილებში, დაასხით წინასწარგამზადებული ცხელი სიროპი. სტერილიზაცია ამ შემთხვევაში ცხელი წყლით უნდა მოხდეს.



## თეთრი ბლის კომპოტი

**მასალა:** ბალი 3 კგ, წყალი 1 1/2 ლიტრი, შაქარი 1 1/2 კგ, 2 სუფრის კოვზი ძმარი ან $1^1/_2$ ლიმონის წვენი. სტერილიზაციის ხანგრძლივობა — 25-30 წუთი.

ბალი გარეცხეთ ცივ წყალში, მოადუღეთ სიროპი. სიროპში დუღილის დროს ჩაასხით ძმარი ან ლიმონის წვენი. ბალს ცივი სიროპი დაასხით და ისე მოახდინეთ სტერილიზაცია.

**ცეცილია ელიგულაშვილი,**
**ლიგია პაიჭაძე.**

გარეკანზე—

ნახატი ნ. ერგემლიძისა

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/V-62 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 916 უე 03254

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორი



ტრამვაიში

მხატვარი რ. მეშველაძე

მხატვარი ო. სიჭინავა





მხატვარი ა. ერაძე



მხატვარი ა. ერაძე

პრაქტიკული მეცადინეობა

მხატვარი რ. მეშველაძე





ნომერს თან ერთვის ჩანართი—
„ჭრა-კერვის დაუსწრებელი სწავლება"



ნ29/203
ეროვნული ბიბლიოთეკა